ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

11

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 ივნისი 2008 №126 (3350) ფასი 50 თეთრი




# 11

# აღარასოდეს და ყოველთვის! ამდენი ტკივილი და წასვლა ასეთ გაცილებად ღირდა!

# გმადლობთ, შოთა!



# შოთა ბოლოჯერ და სამუდამოდ!

**საქართველო 6:9 შოთას მეგობრები**

გოლები: რ. არველაძე, ა. იაშვილი (2), შ. არველაძე (2), გ. არველაძე (შოთას ვაჟი) — მ. ლაუდრუპი, შ. არველაძე, ბ. ლაუდრუპი, ლანძაატი, პერესი, ბაბანგიდა, კუვერმანსი (2), ტომაზი

**საქართველო**: ჩხეიძე, კალაძე, ცხადაძე, შელია, ნემსაძე, ყაველაშვილი, ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, ქეცბაია, ა. არველაძე; ზოიძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, ხიზანეიშვილი, გახოკიძე, ცქიტიშვილი, ასათიანი, ა. იაშვილი, ბეგლარიშვილი, ლომაია, ინალიშვილი, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ტყებუჩავა, ღუდუშაური, ალექსიძე, ანჩაბაძე, შ. არველაძე.

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა.

**შოთას მეგობრები**: ფრედ გრიმი, აარონ ვინტერი, დენი ბლინდი, ფრენკ დე ბური, არტურ ნუმანი, რონალდ დე ბური, რიხარდ ვიჩგე, მიქაელ ლაუდრუპი, შოთა არველაძე, ანდრეი კანჩელსკისი, ბრაიან ლაუდრუპი; ხალიდ სინუ, დენი ლანძაატი, ოგიუნი, თოლუნაი, სტივ შაარსი, კენეტ პერესი, მიხაელ მოლსი, ტიჯანი ბაბანგიდა, დანი კუვერმანსი, დინ გორე, დამიანო ტომაზი.

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი




**საქართველოში** პირველად იწერება ასეთი მატჩის მიმოხილვა, იმიტომ, რომ ასეთი მატჩი აქამდე არასდროს ჩატარებულა.

სხვათა გამოცდილებით ვიცოდით, რომ საბენეფისო მატჩები ფრედ მთავრდება ხოლმე — აუცილებელი არ ყოფილა.

და რა იყო გუშინდელ თამაშში ისეთი, რაც ეგრეც უნდა ყოფილიყო? ის, რომ შოთა არველაძემ ორივე გუნდის მაისურით ითამაშა, ორივე გუნდის სასარგებლოდ გაიტანა, ბოლო გოლი არველაძეთა უმცროსი თაობისა იყო და ის, რომ გუშინ ძალიან ბევრი გოლი გავიდა...

სხვა მხრივ კი, ეს პირველი ქართული გამოცდილება იყო ამგვარი მატჩის ჩატარებისა და შოთას ამისთვისაც მადლობა — ოდესმე ხომ უნდა დასდებოდა საფუძველი ფეხბურთელთა გაცილების რიტუალს.

ანგარიში და ის, რომ საქართველოს ნაკრები დამარცხდა, დაგვეთანხმებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეორე კი არა, მეათეხარისხოვანია. მთავარია, რომ მაყურებელმა ისიამოვნა. სასიამოვნო კი, იცოცხლეთ, ბლომად იყო. გოლები ხომ კარგი გავიდა და, ჩვენი აზრით, პასები იყო გამორჩეულად ლამაზი.

გნებავთ, ასე ვთქვათ: წარმოიდგენდით, რომ ლაუდრუპების, დე ბურების და მათი, უფრო სწორად კი, შოთას სხვა მეგობრების თამაშის ცოცხლად ნახვას შეძლებდით? ამისთვისაც მადლობა, რა თქმა უნდა, შოთას.

ისე, ლაუდრუპები ვახსენეთ და, ესეც უნდა ვთქვათ: კარიერადასრულებული და დამძიმებული დანიელების თამაშის ყურება ზარე ორი მოქმედი ფეხბურთელის ცქერას ჯობია...

ვთქვათ ისიც, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშეს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმაც და



არჩილი და შოთა



**ამხანაგური მატჩები**

საფრანგეთი 1:0 კოლუმბია

ახალგაზრდულები (U-21)

ფინეთი 1:0 პოლონეთი

# გმადლობთ, შოთა!


შოთა და ლუის ვან გაალი


შოთა და რევაზ არველაძე

ამ ფედერაციის უპირველესმა მოწინაალმდეგეებმაც და ესეც, არ დავიღლებით აღნიშვნით, შოთას დამსახურებაა.

მატჩის წინ კი გაცხადდა, რომ საქართველოს ნაკრებმა სამუდამოდ დაკარგა 11-ნომრიანი მაისურა და ის სამუდამოდ შოთას მფლობელობაში დარჩა. ესეც ამ მატჩის ძალიან ემოციური მომენტი იყო.

ყველაზე დიდი ემოცია კი, ცხადია, მსაჯის საფინალო სასტვენს მოჰყვა, უფრო სწორად, იმ წამს, როცა გავიაზრეთ, რომ ეს შოთას მართლაც ბოლო თამაში იყო და თავად შოთას ცრემლიც დავინახეთ...

კიდევ ის, რომ სტადიონზე ხალხი მოვიდა. გნებავთ, გაიხსენეთ, ბოლო 10 წელიწადში რამდენჯერ ისტუმრა „ეროვნულმა" ამაზე მეტი მაყურებელი. ხუთჯერ-ექვსჯერ, მეტჯერ ნაღდად არა...

მატჩის დასასრულიც მშვენიერი გამოდგა — მოედანზე შესულმა ბავშვმა გოლი რომ უნდა გაიტანოს, იმას ვგულისხმობთ. უმცროს არველაძეებს „პადკატებს" რომ არავინ გაუკეთებდა, ცხადი იყო, მაგრამ დაგვეთანხმებით, ბავშვების კვალობაზე პასიც და გოლიც ჩინებული იყო.

ეს გოლი იყო და, თამაშიც დასრულდა. ტაბლოზე შოთას გოლები გაუშვეს და ფონადაც კარგი სიმღერა შეურჩიეს — ფრენკ სინატრას MY WAY (ჩემი გზა). ამ სიმღერაში ასეთი სიტყვებიცაა: სრულად ვიცხოვრეო. ფეხბურთელმა შოთა არველაძემ მართლაც სრულად იცხოვრა და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ 35 წლის შოთას წინ გრძელი სამწვრთნელო კარიერა ელის და როგორც წინა დღეს ლუის ვან გაალმა გვითხრა, მჯერა, შოთას სამწვრთნელო კარიერა ფეხბურთელის კარიერაზე წარმატებული იქნებაო.

ხოლო ფაქტის გააზრება, რომ შოთას მოედანზე ველარ ვნახავთ, ნაღდად ძალიან ძნელია...

**კოტე კეკელია**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**















რონალდ დე ბური, მიქაელ ლაუდრუპი, ლიზი ბაგრატიონი, პაატა ბურჭალიანი, შოთა არველაძე, ტიჯანი ბაბანგიდა, ბრაიან ლაუდრუპი

# რა ვერ მოუგო მიქაელ ლაუდრუპმა შოთა არველაძეს? ბრაიან ლაუდრუპი: შოთა ფანტასტიკაა

**შოთა არველაძემ** გუშინდელ საბენეფისო მატჩამდე უცხოელი სტუმრები სასტუმრო „მეტეხის" საკონფერენციო დარბაზშიც იწვია, რითაც მისმა თურქმა მეგობრებმაც უმალ ისარგებლეს და საზეიმო ვითარებაში დაასაჩუქრეს. კომპანია „ჯეოსელის" უფროსმა ოსმან თურანმა შოთა არველაძეს ბოლო მოდელის მობილური ტელეფონი, სალაპარაკო დრო და ნომერი აჩუქა. ნომერს არ იკითხავთ? — 11-11... და თურანმა, ცხადია, ბოლო ორი ციფრი აღარ დაასახელა. 11 კი, მოგეხსენებათ, შოთას საყვარელი სათამაშო ნომერი გახლდათ და „ჯეოსელმაც" სწორედ ეს გაითვალისწინა.

თურანს არც თურქული „ტრაბზონის" ხელმძღვანელები ჩამორჩნენ და ქართველ ფეხბურთელს ლამის მთელი საკლუბო მაღაზია აჩუქეს და შოთას ოჯახს თურქეთის ერთ-ერთი ფეშენ-კურორტის საგზურიც უბოძეს. შეგახსენებთ, რომ შოთამ უცხოური საკლუბო კარიერა სწორედ თურქულ „ტრაბზონში" დაიწყო და იქაურთათვის დღემდე ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად ითვლება. სწორედ ტრაბზონისდროინდელმა მეგობარმა თოლუნაი კაფკასმა შოთას თავისი საჩუქარიც გაუკეთა, ლიზი ბაგრატიონმა კი კომპანია „ბადაგონის" სახელით ქართველ ვარსკვლავს მცირე ქანდაკი გადასცა.

შოთა არველაძე კიდევ ბევრ საჩუქარს მოგვიანებითაც მიიღებდა, ნაშუადღევს კი იქვე, „მეტეხში", მისმა მეგობრებმა ორიოდ სიტყვით ეს ამბები მოგვახსენეს:

**რონალდ დე ბური:** „კარგად მახსოვს, შოთა პირველ დღეს ამსტერდამის „აიაქსში". მაშინ ვიფიქრეთ, ამ ბიჭმა ფეხბურთი როგორ უნდა ითამაშოსო. თუმცა კი მალევე დავრწმუნდით, რომ ჩვენთან ახალი ვარსკვლავი მოვიდა. ჩემი და შოთას კარიერა მოგვიანებით „რეინჯერსშიც" გაგრძელდა და ახლა უკვე საუკეთესო მეგობრები ვართ. ის ძალიან კარგი ადამიანია და ძალიან მიყვარს".

**მიქაელ ლაუდრუპი:** „შოთა ვალენსიადან დამიკავშირდა და მის გამოსამშვიდობებელ მატჩზე ჩამოსვლა მთხოვა. მოუცლელობის მიუხედავად, ჩემგან უარი გამორიცხული იყო და სწორედ შოთას პატივისცემით ახლა თბილისში ვარ. შოთა დიდი ფეხბურთელია, კარგად მახსოვს ჩვენი პირველი სეზონი „აიაქსში", მაშინ შოთამ 37 გოლი გაიტანა, რაც, ცხადია, გუნდის წარმატების საფუძველი გახდა. არც ის მავიწყდება, შოთა ჩემთან ბანქოს თამაშისას ყოველთვის მოგებული რომ რჩებოდა".

**ტიჯანი ბაბანგიდა:** „შოთას მოწვევას უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგანაც ის ჩემი მეგობარია და მისგან არაერთი სიკეთე მახსოვს. მის გარეშე ჩვენი დროის „აიაქსი" წარმოუდგენელი იყო, ის გუნდის სული და გული გახლდათ, მოედანზეც და მის მიღმაც შოთა გამორჩეული ადამიანია. მისი დიდი პატივისმცემელი ვარ".

**ბრაიან ლაუდრუპი:** „შოთასთან ერთად სულ ერთი სეზონი ვითამაშე, მაგრამ დასამეგობრებლად ეს დროც საკმარისი გამოდგა. ის ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობდა. ის სეზონის შემდეგ ფეხბურთის თამაშს შევეშვი, მაგრამ...

შოთა, არ გეგონოს, ეს შენ გამო გავაკეთე — გაეხუმრა ბრაიან ლაუდრუპი შოთას და ტკბილი სიტყვები ჩვენიანს არც მან დააკლო".

ეს და სხვა ვარსკვლავები ქალაქის დასათვალიერებლად გაეშურნენ, საღამოს კი შოთას შოუ-მატჩიც დაიწყო...

**კობა ინასარიძე**




# ირაკლი კლიმიაშვილი: ახალგაზრდები მოედანზე სხვა ჟინით შევედით...

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ფლანგელმა ნახევარმცველმა ირაკლი კლიმიაშვილმა ესტონეთთან 15 წუთი ითამაშა, პორტუგალიასთან კი — ერთი ტაიმი. ეს მისი სადებიუტო მატჩები იყო ეროვნულ ნაკრებში, ხოლო ახალგაზრდულში ირაკლიმ მხოლოდ შარშან ოქტომბერს იბურათავა პირველად. მოკლედ, სხარტ და ჟინიან ფეხბურთელს კარგი პერიოდი უდგას და მასზეა დამოკიდებული, როგორ განაგრძობს წინსვლას...

„დიდი გაკვეთილი მივიღეთ. კარგად დავინახეთ, რამხელა სხვაობა იყო ჩვენსა და პორტუგალიელებს შორის. სასწაული დონის ნაკრებია და ტყუილად არ ითვლება ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად" — გვითხრა კლიმიაშვილმა




— რას იტყვი ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩებზე?

— ესტონეთთან მატჩის წინ ცოტა დაძაბული ვიყავი, რადგან, რაც უნდა იყოს, პირველად ვთამაშობდი ეროვნულ ნაკრებში. პორტუგალიასთან კი ყოველგვარი ნერვიულობა მოხსნილი მქონდა. ასეთ გუნდთან სასიამოვნოც კია თამაში. ცუდია, რომ წავაგეთ, მაგრამ კარგი გაკვეთილი მივიღეთ.

— პეტარ სეგრტმა რა გითხრათ ორივე მატჩის შემდეგ?

— ესტონეთთან მოგება ძალიან უნდოდა, ჩვენც უეჭველად გამარჯვებისთვის ვიბრძოდით, მაგრამ არ გამოვიდა. პორტუგალიასთან კი, თავს ზემოთ ძალა არ იყო, ვიბრძოლეთ, თუმცა...

— პორტუგალიასთან ისე ჩანდა, მეორე ტაიმში უფრო თამამად იყო საქართველოს ნაკრები. ეს რამ გამოიწვია?

— ახალგაზდები სხვა ჟინით შევედით მინდორზე. ყველას ერთი სული გვქონდა, როდის ვეთამაშებოდით პორტუგალიას. შიში ნამდვილად არ გვქონია.

— ყველაზე მეტად რომელ პორტუგალიელს გამოარჩევ, ვინ მოახდინა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— ნახევარდაცვაში ორივე ფლანგზე ვითამაშე, დროდადრო ცენტრშიც შევდიოდი. უფრო პაულუ ფერეირას წინააღმდეგ მიწევდა ბრძოლა. ყველაზე მაგარი კი აშკარად დეკუ იყო, საოცრად რბილად და დახვეწილად მოძრაობდა. მგონი, უზუსტო პასი არც გაუკეთებია.

— მატჩის წინ აჟიოტაჟი თუ შეიმჩნეოდა პორტუგალიაში?

— სხვათა შორის, ზემოდან სულაც არ გვიყურებდნენ. ჩვენს ვარჯიშებზეც იყვნენ მათი გულშემატკივრები, სასტუმროშიც მოდიოდნენ. სტადიონი, ხომ ნახეთ, სავსე იყო. როგორც ვიცი, პორტუგალიამ ეს მატჩი თურქეთთან ევროპის ჩემპიონატის თამაშისთვის მოსამზადებლად გამოიყენა, საქართველოს ნაკრები თურქეთისას ჰგავსო. ძალიან გამიხარდა, რომ ტრიბუნებზე ჩვენც გვყავდა გულშემატკივრები — მათ მხარდაჭერას ვგრძნობდით, ხმაურიანად გვქომაგობდნენ.

— ეს შენი სადებიუტო მატჩები იყო ეროვნულ ნაკრებში, როგორ ფიქრობ, შეძლებ გუნდში დამკვიდრებას?

— ცდას არ დავაკლებ და ვნახოთ, რა როგორ იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

# ნავალოვსკი ანჟის პორტუგალიამ დააკლო




გიორგი ნავალოვსკი

**პორტუგალიის** ნაკრებთან მიღებული ტრავმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელ გიორგი ნავალოვსკის ორ უახლოეს საკლუბო მატჩს გამოატოვებინებს.

ნავალოვსკი შეხვედრის 81-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. პირველი დივიზიონის ლიდერ მახაჩყალის „ანჟის" კი მომდევნო თამაშები კონკურენტებთან ელის (მეოთხეადგილოსან „სიბირთან" და მესამეადგილოსან „ურალთან") და ომარ თეთრაძეც შეწუხებულია ქართველი ფეხბურთელის ტრავმით.

გაზეთ „სპორტ-ექსპრესთან" მიცემულ ინტერვიუში თეთრაძე მეორე ქართველ ფეხბურთელ რევაზ ბარაბაძეზეც საუბრობს...

„ბარაბაძე კარგი თავდამსხმელია და მას დიდი პოტენციალი აქვს, თუმც ლეგიონერებზე არსებული ლიმიტის გამო ხშირად თამაში არ უწევს".

ამასობაში კი პირველი დივიზიონის მაისის თვის საუკეთესო ლეგიონერებიც დაასახელეს და მახაჩყალელი გოჩა ხოჯავა მეორე ადგილზე გავიდა — ჩვენებური სერბ ფეხბურთელებს, ზორან კორტიჩსა და ბრანიმირ პეტროვიჩს შორის მოექცა.

პირველი დივიზიონის ასისტენტებს შორის კი ხოჯავა მეოთხე ადგილზეა — მას უკვე ოთხი საგოლე პასი მოუგროვდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ამაური რვა წლის მერე

**როგორც** იქნა, ელირსა დასრულება ამაურის გაწელილ ტრანსფერს. ბრაზილიელი „პალერმოდან“ „იუვენტუსში“ გადავიდა და ტურინელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სიცილიელებმა დაახლოებით 14,7 მილიონი ევრო მიიღეს და პლუს სანახევრო უფლებები ანტონიო ნოჩერინოსა და დავიდე ლანძაფამაზე. ამაური კი სეზონში 3,2 მილიონ ევროს მიიღებს, პლუს ბონუსებს. თუ იგი 20 და მეტ გოლს გაიტანს, ბონუსი გვარიანი იქნება.

„რვა წლის წინ, როცა იტალიაში ჩამოვედი, ჩემი მიზანი დიდ გუნდში მოხვედრა იყო. ახლა ეს ოცნება ამიხდა და ძალიან ბედნიერი ვარ. მართალია, ჩემით „მილანიც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ „იუვე“ ჩემთვის პირველ ადგილზეა. როცა „ბიანკონერის“ ინტერესის შესახებ გავიგე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ აქ უნდა გადმოვსულიყავი. თან ყოველთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში და სკუდეტოს მოგება მინდოდა. ჩემთვის ეს პერსონალური გამარჯვებაა“ — თქვა ამაურიმ.

ანტონიო ნოჩერინო: „ასე ვემშვიდობები „ბებერ ქალბატონს“ და მივდივარ „პალერმოში“. ბედნიერი ვარ და ჩემი არჩევანით ვამაყობ. სიცილიელებს ჩინებული გუნდი ჰყავთ, პალერმო კი საოცარი ქალაქია. თან ჩემს მშობლიურ ნეაპოლთან ახლოს ვიქნები. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მომავალი სეზონი. სულელი არ ვარ, ვიცი, ფეხბურთელები მიდიან და მოდიან. ჩემთვის „იუვეს“ მაისურის ტარება დიდი პატივი იყო, მაგრამ ყოველგვარი წყენის გარეშე მივდივარ. ტურინში გატარებული დროით ვისიამოვნე“.

„ეს გახლდათ რთული მოლაპარაკებები, რომელიც მშვიდად დაიწყო და ხმაურიანად დასრულდა. თუმცა, მთავარია, შეთანხმება შედგა და ყველა კმაყოფილია — „პალერმოც“, „იუვენტუსიც“ და ამაურიც“ — აღნიშნა სიცილიელთა სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

ამასთან, „ბიანკონერის“ უფროსობამ უარყო ინფორმაცია დავიდ ტრეზეგეს წასვლის შესახებ — ჩემპიონთა ლიგაში, იტალიის ჩემპიონატსა და თასზე წარმატებულად თამაში გვინდა და ყველა ფეხბურთელი გვჭირდება, პირიქით, კიდევ უნდა გავძლიერდეთო.

ახალგაზრდა სებასტიან ჯოვინკო კი, რომელიც წინა სეზონში „ემპოლში“ გახლდათ განათხოვრებული და ჩინებულად ითამაშა, კბილებს ილესავს: „დავბრუნდი და მინდა, „იუვესთან“ ერთად ყველა ფრონტზე ვიმარჯვოთ. მოგება „ბებერ ქალბატონს“ სისხლში აქვს და ყველა ტურნირში წარმატების მისაღწევად ვიბრძოლებთ. იმედია, „ბიანკონერიში“ დავრჩები და გუნდს სარგებელს მოვუტან“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მაუ: განსაკუთრებული მე კი არა, ინტერია



**ჟოზე მაურინიუმ,** რომელმაც „ინტერთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იტალიური პრესის ცნობით, სეზონში 9 მილიონ ევროს მიიღებს, როგორც „ნერაძურის“ ახალმა მწვრთნელმა, პირველი კომენტარები უკვე გააკეთა.

პორტუგალიელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ თავს განსაკუთრებულად არ გრძნობს და აუცილებელი არ არის, ამ მეტსახელით მიმართონ. „მე განსაკუთრებულ კლუბში მოვედი — ღიმილით თქვა „მაუმ“ — ვფიქრობ, დიდი მწვრთნელი ვარ, მაგრამ არა განსაკუთრებული. არასოდეს ვიცვლები. იგივე ადამიანი ვარ, როგორიც ადრე ვიყავი. საქმისადმი ისეთივე ლტოლვა და მიდგომა მაქვს. ყოველთვის მინდოდა, იტალიაში რომელიმე დიდ გუნდში მემუშავა და მადლობას ვუხდი მასიმო მორატის, რომ შანსი მომცა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და, ვფიქრობ, ჩვენი თავგადასავლისგან თქვენც სიამოვნებას მიიღებთ“.

„ადამიანური თვალსაზრისით, გული ძალიან მწყდება, რობერტო მანჩინი რომ გავუშვით. ეს ძალიან ძნელად მისაღები გადაწყვეტილება იყო. ემოციებითა და წარმატებით დატვირთული ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენი გზები გაიყო. კარგად ვიცი, რომ მანჩინი „ინტერისთვის“ მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ და იმას არ ვივიწყებთ, რაც მან გააკეთა. იგი ბრწყინვალედ მუშაობდა და ეს მრავალჯერ ვუთხარი“ — აღნიშნა „ნერაძურის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

„ინტერის“ თავდამსხმელი ერნან კრესპო: „ჩელსიში“ რომ ვიყავი, მაშინაც ვფიქრობდი, „ნერაძური“ მაურინიუსთვის იდეალური გუნდი იქნება-მეთქი. ის ფაქტი, რომ ჟოზეს ვიცნობ, არანაირ უპირატესობას არ მანიჭებს. კონკურენცია ძველებურად დიდი იქნება. მაურინიუ შანსს ყველას აძლევს და ყოველთვის პირდაპირ გიხსნის სიტუაციას. ჟოზე ხალხსა და ფეხბურთელებს პატივს სცემს. ასე რომ, თუ გადაწყვეტს, რომ სათადარიგოთა სკამზე უნდა ვიყო, ამას გავიგებ. გამიკვირდა თუ არა მანჩინის წასვლა? არა. მისი გაკრიტიკება არასოდეს მომდომებია, უბრალოდ, სათამაშო დროს ვითხოვდი. მსურს, რობერტოს მადლობა გადავუხადო, რადგან, როცა იტალიაში დაბრუნება ვისურვე, პირველად მან გამიღო კარი. გასულ სეზონში იგი სხვა თავდამსხმელებს ენდობოდა და ამ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, მაგრამ პატივს ვცემ. არ დამვიწყებია, რაც მან ჩემთვის გააკეთა“.

**კოკი კანდელაკი**

# ბოლონია დაბრუნდა

**დასრულდა** სერია B-ს 2007-2008 წლების სეზონი, რომლის ბოლო ტურშიც გაირკვა, რომ „კიევოსთან“ ერთად სერია A-ს სამწლიანი პაუზის მერე „ბოლონიაც“ დაბრუნდა. უმაღლესი ლიგის მესამე საგზურის მფლობელის ვინაობა პლეი ოფში გაირკვევა, რომელშიც ერთმანეთს „ლეჩე“, „ალბინოლეფე“, „ბრეშა“ და „პიზა“ გაეჯიბრებიან.

„ეს კლუბი და ქალაქი ნამდვილად იმსახურებს ადგილს სერია A-ში. დიდად მადლობელი ვართ ფანების, რომლებიც ღირსეულად გვიდგანან გვერდით. ძალიან გახარებული და ამაყი ვარ მიზნის მიღწევით. რაც შეეხება მომავალი სეზონისთვის მზადებას და სიახლეებს, შემიძლია გითხრათ, რომ ყველა რჩება, მწვრთნელის თამადობით. დანარჩენი თანდათანობით გამოჩნდება“ — თქვა „ბოლონიას“ პრეზიდენტმა ალფრედო კაცოლამ.

„როსობლუს“ მწვრთნელი დანიელე არიგონი: „ჩვენი მიზანი თავიდანვე სერია A-ს საგზურის მოპოვება გახლდათ და გვიხარია, რომ ეს შევძელით. გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სწორი სინთეზით შევკარით გუნდი, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაში ძალუძს. ვინ მოიგებს პლეი ოფს? „ლეჩე“ მთავარი ფავორიტია. ეს გუნდი ძლიერია, ბოლომდე იბრძოდა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამოგვრჩა“.

**კოკი კანდელაკი**

AMERITECH-ის აქცია
ევრო 2008 JVC-თან ერთად!

JVC
The Perfect Experience

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

ტექნიკა სახლისთვის
სიამოვნება შენთვის!



ამერიტექი AMERITECH

აქცია 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

შეიძინე ტექნიკა Ameritech-ის მაღაზიათა ქსელში, დააგროვე გოლები და გახდი უპრეცედენტო აქციის „ევრო 2008 JVC-თან ერთად“ მონაწილე!

I ეტაპი — ყველა ვინც შეიძენს ტექნიკას Ameritech-ის მაღაზიათა ქსელში მიიღებს მომენტალურ საჩუქარს – ექსკლუზიურ მაისურს ევრო 2008-ის და JVC-ის სიმბოლიკით.

II ეტაპი — დააგროვე 1500 გოლი – ამოირჩიე და მიიღე მაღაზიაში შემოთავაზებული 10-ზე მეტი დასახელების საჩუქრიდან ერთ-ერთი.

III ეტაპი — დააგროვე 2500 გოლი – მიიღე 2 კაციანი აბონიმენტი ელიტარულ სპორტ კაფეში ევრო 2008-ის ნახევარფინალური 2 მატჩისა და ფინალური მატჩის საყურებლად დიდ ეკრანზე.

აბონიმენტში შედის მენიუ. აბონიმენტი გაიცემა 1-დან 23 ივნისამდე!!!

1 ლარი = 1 გოლს

ამერიტექის მაღაზიათა ქსელი:
აღმაშენებლის ხეივანი 1/1, ტელ.: 51 73 88;
ვაჟა-ფშაველას გამზ. 39, ტელ.: 391095;
თამარ მეფის გამზ. 5, ტელ.: 943054;
სერვის ცენტრი: ინვენისის 13/15, ტელ.: 31 32 52

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. ავსტრია

# ცაცია მუსიკოსი

**საკვირველი** ამბავია — მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანმა ავსტრიამ ერთხელაც ვერ შეძლო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა.

ავსტრიელები 1954 წლის მუნდიალზე გფრ-სთან ნახევარფინალში დამარცხდნენ და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ურუგვაის მოუგეს. სხვათა შორის, მეოთხედფინალში ავსტრია — შვეიცარია 7:5 დასრულდა და ეს მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე უხვგოლიანია.

 აი, ასე შევიდა ავსტრია ფეხბურთის ისტორიაში და მას შემდეგ ამ ნაკრებს დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია. ანდა, რას გააკეთებდა, როცა ევროპის ცამეტმა ჩემპიონატმა მათ გარეშე ჩაიარა და სანამ თანამასპინძლობას არ გამოჰკრა ხელი, მანამდე ვერ ეღირსა კონტინენტის მთავარ სანაკრებო შეჯიბრში მონაწილეობას.

მსოფლიოს ჩემპიონატზე კი, 1954 წლის შემდეგ მხოლოდ ხუთჯერ გავიდნენ და ბოლოს 1998-ში, საფრანგეთში ითამაშეს. მუნდიალზე ჯგუფში ბოლო მატჩი იტალიასთან ჰქონდათ 23 ივნისს და 1:2 (გოლი ანდრეას ჰერცოგმა გაიტანა) წააგეს. ეს იყო და, ავსტრიას მას აქეთ დიდ ტურნირზე ფეხი აღარ დაუდგამს. ტონი პოლსტერის და ანდრეას ჰერცოგის დრო წავიდა, მათი დონის ფეხბურთელები კი ავსტრიაში აღარ გამოჩნდნენ.

იმ გუნდიდან, რომელმაც იტალიასთან ითამაშა, დღევანდელ ნაკრებში ორნი არიან: 35 წლის მცველი მარტინ ჰიდენი და მასზე სამი წლით უფროსი ფორვარდი ივიცა ვასტიჩი. მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე 38 წლის თავდამსხმელს რომ წაიყვანს, ეს ფორვარდი ან ვან ბასტენი უნდა იყოს, ან კიდევ მწვრთნელს უკეთესი არა ჰყავს და გუნდს შეტევაში ჭაკად აქვს საქმე.

რას წარმოადგენს ავსტრიის დღევანდელი ნაკრები? ამ კითხვაზე სტატისტიკა პასუხობს: ბოლო თექვსმეტი ამხანაგური მატჩიდან შვიდი წააგო, ამდენივე ფრედ დაასრულა და ორი მოიგო. ბურთების შეფარდება — 15:22. შარშან ინსბრუკში ავსტრიელებმა კოტ დივუარი დაამარცხეს (3:2), გასულ პარასკევს კი გრაცში მალტა გამოიჭირეს და 5:1 სძლიეს.

ევროპის ჩემპიონატის თექვსმეტი მონაწილიდან ალბათ ყველაზე სუსტი გუნდი სწორედ მასპინძელი ავსტრიაა და რაც უნდა უქომაგონ, საეჭვოა, რომ ჯგუფიდან გავიდეს.

ისევ სტატისტიკას დავუბრუნდეთ. ავსტრიელთა 23 ფეხბურთელიდან მხოლოდ ცხრას უთამაშია ეროვნულ გუნდში 20-ზე მეტი მატჩი. შედარებისთვის, მაგალითად, შვედებს ასეთი 17 ჰყავთ. შემადგენლობით, კლასით და გამოცდილებით ავსტრია დანარჩენ გუნდებს აშკარად ჩამოუვარდება.

მიუხედავად ამისა, ნაკრების მწვრთნელი იმედიანადაა და ორშაბათს, შტეგერსბახში (სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრიაში) ბაზაზე ჟურნალისტებს განუცხადა:

„ჩვენი მიზანი მეოთხედფინალია. ამისათვის 4 ქულა უნდა ავიღოთ ხორვატიასთან და პოლონეთთან მატჩებში. ეს აუცილებელი პირობაა. ტოტალიზატორების კოეფიციენტების ნახვა არაა აუცილებელი იმის დასადგენად, რომ ჩვენ ფავორიტები არ ვართ, მაგრამ გულშემატკივრების ძალიან მეიმედება. უკვე გადაწყვეტილი მაქვს, რომელ 11 ფეხბურთელს ვათამაშებ ხორვატებთან მატჩში, მაგრამ შემადგენლობის გამოცხადებას არ ვჩქარობ, რადგან მინდა, რომ მთელი გუნდი მობილიზებული იყოს".

მწვრთნელისავე თქმით, ოთხშაბათს, ანუ დღეს მხოლოდ ერთ რამეს გააცხადებს: ვინ იქნება ნომერ პირველი მეკარე, ალექსანდრ მანინგერი თუ იურგენ მახო.

იოზეფ ჰიკერსბერგერი 60 წლისაა. მას ავსტრიის ნაკრებში 39 მატჩი უთამაშია და მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის მონაწილეა. ფეხბურთელობისას „აუსტრია", „ინსბრუკი", „რაპიდი", „ოფენბახი" და დიუსელდორფის „ფორტუნა" მოიარა.

ბურთის დევნას თავი 1982-ში დაანება და ხელი მწვრთნელობას მიჰყო. მალევე ავსტრიის ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს, 1988 წელს კი ეროვნული გუნდის თავკაცი გახდა და ავსტრიელები მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე გაიყვანა.

ჩემპიონატის შემდეგ კი ისეთი რამ დაემართა, რომ მოხსნეს. ევრო 92-ის შესარჩევში ფარერების ნაკრებთან დამარცხდა და გუნდში აღარ დაედგომებოდა.

მერე მუშაობდა დიუსელდორფის „ფორტუნაში" და ვენის „აუსტრიაში", რასაც აზიური „ტურნე" მოჰყვა და „ალ აჰლის", „არაბ კონტრაქტორსს", „ალ შაბაბს", „ალ ვასლს" და „ალ იტიჰადს" წვრთნიდა.

2002 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ვენის „რაპიდი" ჩაიბარა. მის ხელში გუნდმა, ცხრაწლიანი ლოდინის შემდეგ, ქვეყნის ჩემპიონატი (2004-05) მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშა. ამის მერე, 2006 წლის დასაწყისში ავსტრიის ნაკრები ჩააბარეს.

ამხანაგურ მატჩებში ჰიკერსბერგერი ტაქტიკას ხშირად ცვლიდა და ექსპერიმენტებს ატარებდა, რათა ოპტიმალური ვარიანტისთვის მიეგნო.

სხვებზე უფრო დაბალანსებული რგოლი გუნდში დაცვის ხაზია მარტინ შტრანცლით და ემანუელ პოგატეცით. გამოსარჩევია ახალგაზრდა სებასტიან პრიოდლის საიმედო თამაშიც. ამ სამეულმა ინგლისთან, საფრანგეთთან და ჩეხეთთან ამხანაგურ მატჩებში საკმაოდ იყოჩაღა. იოზეფ ჰიკერსბერგერი 4-4-2 ტაქტიკიდან იშვიათად თუ გადაუხვევს და ზოგჯერ 4-5-1-საც მოსინჯავს.

ავსტრიელთა მთავარი პრობლემა მწირგოლიანობაა. ზემოთაც ვთქვით, რომ 16 ამხანაგურ შეხვედრაში 15 გაიტანეს და აქედან ხუთი — მალტასთან. მწვრთნელს შეტევაში დიდი არჩევანი არ აქვს. ძირითადი ფორვარდი ალბათ რონალდ ლინცი იქნება, მისი მეწყვილე კი ვერდერელი მარტინ ჰარნიკი ან პენსიონერი ივიცა ვასტიჩი, რომელიც 21 წლის ჰარნიკს მამად ერგება.

ყველაზე მეტად კი მწვრთნელსაც და ქომაგებსაც 24 წლის ანდრეას ივანშიცის ეიმედებათ. „ზალცბურგიდან" „პანათინაიკოსში" განათხოვრებულ ცაცია პლეიმეიქერს სამშობლოში უდიდესი პოპულარობის გამო ავსტრიელი „ბექემი" შეარქვეს. გარდა იმისა, რომ ეს ბიჭი ტექნიკურია და თამაშსაც კარგად კითხულობს, მუსიკალური განათლებაც აქვს და არაერთ ინსტრუმენტზე უკრავს.

**გაგა ხუციშვილი**





ანდრეას ივანშიცი

## არის ასეთი ქვეყანა

დღეს ევროპის რუკაზე ავსტრიის მოძებნა რომ მოინდომოთ, იქნებ ლუპის მოშველიებაც დაგჭირდეთ. თანამედროვე ავსტრიას ერთი ციცქნა არა, მაგრამ მომცრო ქვეყანა ეთქმის და მარტო რუკით შეიარაღებული კაცი მის შესახებ ბევრსაც ვერაფერს შეიტყობს. მაგრამ ვენას აეროპორტს გასცდება თუ არა, მაშინვე მიხვდება, რომ სადღაც განსაკუთრებულ ადგილას მოხვდა, რომ ეს ქალაქი კოპწია და კარგად დაგვილ ევროპაშიც კი განსაკუთრებულია. კიდეც ამბობენ — ენით გალოკილიაო.

დღეს ამ ქვეყანაში 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ავსტრიელები ამაზე მეტნი არც არასდროს ყოფილან. მაგრამ მოდით ისევ რუკას დავხედოთ, ოღონდ ასი წლის წინანდელს: პირველი მსოფლიო ომის დროს ავსტრია მოიცავდა თანამედროვე უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, პოლონეთის სამხრეთ მხარეებს, უკრაინის დასავლეთ კიდეს, რუმინეთის ჩრდილოეთ ნახევარს, ყველა იუგოსლავიურ ქვეყანას მაკედონიის გარდა, იტალიის რამდენიმე პროვინციას... შეიძლება, რომელიმე გამოგვრჩა, მაგრამ ჩამოთვლილიდანაც მიხვდებით, რომ ეს არ იყო უბრალო ქვეყანა. ქვეყანა კი არა, იმპერია იყო და ვენაში მორჭმით მჯდარ იმპერატორთა ქვეშევრდომები ევროპის ბარე ნახევარ ენებზე საუბრობდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ჰაბსბურგებმა ქალიშვილები სხვა ევროპელ მონარქებზე დაათხოვეს და ასე, გენეტიკურადაც დაიპყრეს ბებერი კონტინენტი. მაგრამ დაიშალა იმპერია და დროებით სხვა იმპერიამაც კი ჩაყლაპა. მის უბეში გაზრდილმა ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ჯერ ავსტრია „მიიერთა" და შემდეგ გაიწია დანარჩენებზე.

დღეს ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა, რომელიც არ შედის ნატოში, მაგრამ შედის ევროკავშირში. და კიდევ, იქ ათასობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს სხვადასხვა სფეროებში.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მეკარეები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ალექს მანინგერი | სიენა, იტალია | 04.06.77 |
| 21 | იურგენ მახო | აეკ, საბერძნეთი | 24.08.77 |
| 23 | რამაზან იოზქანი | ჰოფენჰაიმი, გერმანია | 28.06.84 |

**მცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 | მარტინ შტრანცლი | სპარტაკი, რუსეთი | 16.06.80 |
| 4 | ემანუელ პოგატეცი | მიდლსბრო, ინგლისი | 16.01.83 |
| 12 | რონალდ გერცალიუ | აუსტრია | 12.02.86 |
| 13 | მარკუს კატცერი | რაპიდი | 11.12.79 |
| 14 | დიორდ გარიჩი | ნაპოლი, იტალია | 08.03.84 |
| 15 | სებასტიან პრიოდლი | შტურმი | 21.06.87 |
| 16 | იურგენ პატოკა | რაპიდი | 30.07.77 |
| 17 | მარტინ ჰიდენი | აუსტრია | 11.03.73 |

**ნახევარმცველები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | იოახიმ შტანდფესტი | აუსტრია | 30.05.80 |
| 6 | რენე აუფჰაუზერი | ზალცბურგი | 21.06.76 |
| 5 | კრისტიან ფუხსი | მატერსბურგი | 07.04.86 |
| 7 | ივიცა ვასტიჩი | ლინცერი | 29.09.69 |
| 8 | კრისტოფ ლიტგები | ზალცბურგი | 14.04.85 |
| 10 | ანდრეას ივანშიცი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი | 15.10.83 |
| 11 | უმით ქორქმაზი | რაპიდი | 17.09.85 |
| 19 | იურგენ ზაუმელი | შტურმი | 08.09.84 |

**თავდამსხმელები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | როლანდ ლინცი | ბრაგა, პორტუგალია | 09.02.81 |
| 18 | რომან კინასტი | ჰამ კამი, ნორვეგია | 29.03.84 |
| 20 | მარტინ ჰარნიკი | ვერდერი, გერმანია | 10.06.87 |
| 22 | ერვინ ჰოფერი | რაპიდი | 14.04.87 |

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი (60)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. ხორვატია

## ქინით მსოფლიოს ჩემპიონები

**ქინითა** და შემართებით ხორვატებს ბადალს ძნელად თუ გამოუძებნი, ეს მათ შესარჩევ ეტაპზეც დაადასტურეს თავიანთი საოცარი თამაშით და ბოლოს, როცა ავსტრია-შვეიცარიის საგზური განაღდებული ჰქონდათ, „უემბლიზე" ინგლისს მაინც მოუგეს და ჯგუფში ჩატოვეს.

ხორვატების ფავორიტთა შორის დასახელება თამამად შესაძლებელი იქნებოდა, ორი სამწუხარო პრობლემა რომ არ ჰქონდეთ. პირველი არის ნატურალიზირებული ბრაზილიელის ედუარდო და სილვას სერიოზული ტრავმა, რის გამოც ამჟამინდელი ნაკრების მთავარმეგოლე დიდი ხანი ვერ გააგორებს ბურთს. მეორე კი დაცვის არასტაბილური თამაში და არასაიმედოობაა.

ნაკრების დაცვის ბურჯს, ვეტერან დარიო შიმიჩს სათამაშო პრაქტიკა აკლია. ალარც რობერტ კოვაჩია პატარა ბიჭი. იოსიპ შიმუნიჩი და ვედრან ჩორლუკა კი შეტევაში უფრო ეფექტურნი და სასარგებლონი არიან, ვიდრე დაცვაში.

ხორვატთა მწვრთნელი სლავენ ბილიჩი უპირატესობას კლასიკურ 4-4-2-ს ანიჭებს. ჩვეულებრივი სქემისგან განსხვავება ის არის, რომ განაკუთრებული როლი ენიჭებათ ფლანგის ნახევარმცველებს ნიკო კრანჩარსა და დარიო სრნას.

კრანჩარი ხშირად ცენტრისკენ შედის და თავდასხმას იქიდან ეხმარება. აი, სრნა კი, რომელიც ნაკრების ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალაა, წმინდა წყლის გარემარბია. დონეცკის „შახტარის" დაუღალავ ფეხბურთელს მთელი მატჩის განმავლობაში შუძლია წინ და უკან სირბილი. მას დაცვშიც ძალუძს თამაში, მოქმედ მოთამაშეებს შორის კი ხორვატიის მაისურით ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი.

სიურპრიზად შესაძლოა ორი მოთამაშე მოგვევლინოს — „შალკეს" 20 წლის პლეიმეიკერი ივან რაკიტიჩი და მისი თანატოლი, ნაკრების დებიუტანტი, სპლიტის „ჰაიდუკის" თავდამსხმელი ნიკოლა კალინიჩი. ბილიჩი მათ ახალგაზრდული ნაკრებიდან იცნობს. ხორვატების კიდევ ერთი მთავარი იმედი, 23 წლის ლუკა მოდრიჩია, რომელიც ზაგრების „დინამოდან" ლონდონის „ტოტენჰემში" ახლახან გადაბარგდა. „მამლებმა" მასში 16,5 მილიონი გირვანქა გაიღეს, ამდენი მათ აქამდე მხოლოდ დარენ ბენტში გადაეხადათ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი 39 წლის სლავენ ბილიჩი 10 წლის წინანდელი ხორვატიის ერთ-ერთი ლიდერია. მას თანაშემწეებად ასევე მაშინდელი ვარსკვლავები, რობერტ პროსინეჩკი და ალიოშა ასანოვიჩი ჰყავს. სათამაშო კარიერის განმავლობაში ბილიჩს სკანდალური მოთამაშის რეპუტაცია ჰქონდა და როგორც მწვრთნელიც არანაკლებ პოპულარული და გამორჩეულია. ცინიკური და გამომწვევი განცხადებებით, საყურითა და როკჯგუფ raw-bau-ში გიტარაზე დაკვრით ცნობილი ბილიჩი უდავოდ ნიჭიერია. მისი ნაკრებისგან ბევრს ელიან. მით უმეტეს, რომ უკვე ბოლო სამი დიდი სანაკრებო ტურნირია 1998 წლის მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორები ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ვერ გადიან.

საინტერესოა, რომ შესარჩევ ეტაპზე რუსეთში გასამართი მატჩის წინ, სრნამ, ივიცა ოლიჩმა და ბოშკო ბალაბანმა ერთ საღამოს დაუკითხავად დატოვეს სანაკრებო შეკრება და ღამის კლუბში გემრიელად მოილხინეს, რაც პაპარაცებს არ გამოპარვიათ. გაბრაზებულმა ბილიჩმა სამივე მათგანი მოკვეთა მოსკოვში ვიზიტისგან, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელოდა. ხორვატული პრესა ერთ ამბავში იყო, გამოუცდელმა მწვრთნელმა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო, ფეხბურთელები უდისციპლინოდ კი მოიქცნენ, მაგრამ ისინი ახლა ასე არ უნდა დაესაჯაო. თუმცა პრინციპულმა ბილიჩმა თავისი გაიტანა...

„პატრიოტიზმში მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. საბედნიეროდ, ჟინი და შემართება არ გვაკლია. ხალხი ყოველთვის „მერსედესებზე" და ფულზე მეკითხება, მე კი სხვა რამეზე ლაპარაკი მინდა. ვიხსენებ „უემბლიზე" დასადგურებულ სიწყნარეს, საფინალო სასტვენის შემდეგ. 80 ათასი ადამიანი გაჩუმებულია, მხოლოდ ერთეულების ხმას თუ გაიგებ. ამ სიჩუმისგან ღლესაც ჟრუანტელი მივლის. ინგლისში ნაციონალური ტრაგედია მოვაწყვეთ" — ასე იხსნებს ხორვატების მეკარე სტიპე პლეტიკოშა ინგლისთან მოგებულ მატჩს.

**გიორგი ძაძაგაძე**



ხორვატები ინგლისთან გამარჯვებას ზეიმობენ



სლავენ ბილიჩი

## არის ასეთი ქვეყანა

ამბობენ, მცირე ერებს საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათო. ხორვატია მუდამ მცირე იყო და ერთა მიგრაციათა ბილიკებმა ის ისეთ გზაჯვარედინზე მიიყვანა, სადაც სიტყვა „თავისუფლებას" მხოლოდ პატრიოტ ხორვატთა თამამ ოცნებებში თუ ჰქონდა სულდგმულობის უფლება. იტალიის, ავსტრო-უნგრეთის, თურქეთის თუ მცირე სოციალისტურ იმპერია იუგოსლავიის საზღვრებში ჩაწერილი ხორვატები მუდამ უფრო ძლიერთა დავაში თუ თამაშში იყვნენ ჩათრეულები და ასე გამოიარეს საუკუნეები. თავადაც ამ ორომტრიალში გამოიწრთნენ და ხასიათი კი დაუმძიმდათ, ისევე, როგორც იმ არეული რეგიონის ყველა მკვიდრს, მაგრამ სამაგიეროდ, გუნდური თამაში და გამარჯვება ისწავლეს და თვითგადარჩენის ინსტიქტისავით ძვალ-რბილში გაიჯინეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრია რომ დაიშალა, ხორვატებმა მეზობელ სერბებთან ალიანსი შეკრეს და იუგოსლავიად წოდებულ ქვეყანაში შევიდნენ. აი, გამოსვლა კი ცოტა გაძნელდა და სერბებთან რამდენიმეწლიან სისხლიან ომად იქცა, მაგრამ მათ მართლა ბრძოლით მოიპოვეს დამოუკიდებლობა და ცალკე განვითარების უფლება. თუმცა ეკონომიკა ნამდვილად არ უყვავით და საშუალო ევროპულ დონეზეც ვერ ავიდნენ, მაგრამ მაინც ისეთი სამეზობლო აქვთ, ადრე თუ გვიან ამ მხრივაც წაიწევენ წინ.

ხორვატია ლამაზი ქვეყანაა, გაწოლილია ადრიატიკის წარმტაცი ზღვის სანაპიროზე და ბებერი კონტინენტიდან დიდძალ დამსვენებელს იზიდავს მზიანი პლაჟებით და შუა საუკუნეების ქალაქ-მარგალიტებით, როგორებიცაა კოხტა დუბროვნიკი და ლეგენდარული დრაჟენ პეტროვიჩის მშობლიური შიბენიკი.

**ირაკლი ფირჩშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | სტიპე პლეტიკოშა | სპარტაკი, რუსეთი | 08.01.79 |
| 12 | მარიო გალინოვიჩი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი | 15.11.76 |
| 23 | ვედრან რუნიე | ლანსი, საფრანგეთი | 10.02.76 |
| | **მცველები** | | |
| 2 | დარიო შიმიჩი | მილანი, იტალია | 12.11.75 |
| 3 | იოსიპ შიმუნიჩი | ჰერტა, გერმანია | 18.02.78 |
| 4 | რობერტ კოვაჩი | დორტმუნდი, გერმანია | 06.04.74 |
| 5 | ვედრან ჩორლუკა | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 05.02.86 |
| 6 | ჰრვოიე ვეიჩი | ტომი, რუსეთი | 08.06.77 |
| 15 | დარიო კნეჟევიჩი | ლივორნო, იტალია | 20.04.82 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 7 | ივან რაკიტიჩი | შალკე, გერმანია | 10.03.88 |
| 8 | ოგნიენ ვუკოიევიჩი | დინამო, უკრაინა | 20.12.83 |
| 10 | ნიკო კოვაჩი | ზალცბურგი, ავსტრია | 15.10.71 |
| 11 | დარიო სრნა | შახტარი, უკრაინა | 01.05.82 |
| 13 | ნიკოლა პოკრივაჩი | მონაკო, საფრანგეთი | 26.11.85 |
| 14 | ლუკა მოდრიჩი | დინამო | 09.09.85 |
| 16 | იერკო ლეკო | მონაკო, საფრანგეთი | 09.04.80 |
| 19 | ნიკო კრანჩარი | პორტსმუთი, ინგლისი | 13.08.84 |
| 22 | დანიელ პრანჯიჩი | ჰერენვენი, ჰოლანდია | 02.12.81 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | ნიკოლა კალინიჩი | ჰაიდუკი | 05.10.88 |
| 17 | ივან კლასნიჩი | ვერდერი, გერმანია | 29.01.80 |
| 18 | ივიცა ოლიჩი | ჰამბურგი, გერმანია | 14.09.79 |
| 20 | იგორ ბუდანი | პარმა, იტალია | 22.04.80 |
| 21 | მლადენ პეტრიჩი | დორტმუნდი, გერმანია | 01.01.81 |

მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი (39)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. გერმანია

# ლიოვის ბიჭები

## ვინ არის ჩერჩეტი?

**გერმანია,** იგივე ბუნდესნაკრები — რა შეხსენება გინდათ, მაგრამ ვინც არ იცის, ვეტყვით: დღეს ჩვენ ვისაუბრებთ გუნდზე, რომელიც ტიტულებით „ბებერი კონტინენტის" უპირობო ლიდერია — ევროპის სამგზის ჩემპიონი (1972, 1980, 1996), ორგზის ფინალისტი (1976, 1992), არ გამოუტოვებია არცერთი ტურნირი და საერთოდ, ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჩაატარა ყველაზე მეტი, 110 მატჩი, რომლიდანაც მოიგო 67, ფრედ დაამთავრა 29 და მხოლოდ 14 შეხვედრაში დატოვა მინდორი თავჩახრილმა. გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა ხომ სულაც შესაშური აქვს — 224:77.

გერმანული ფეხბურთის ხსენებისას, ქომაგთ უპირველესად ის უბადლო ვარსკვლავები და ის საათივით აწყობილი „გერმანული მანქანა" ახსენდებათ, გულშემატკივარი არაერთხელ რომ ალუფრთოვანებია. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ფრანც ბეკენბაუერი, ზეპ მაიერი, გერდ მიულერი, უვე ზეელერი, კარლ-ჰაინც რუმენიგე, ჰორსტ ხრუბეში, ლოთარ მათეუსი, იურგენ კლინსმანი თუ რუდი ფიოლერი? მწვრთნელებზე, ჰელმუტ შიონზე, იუპ დერვალსა და იგივე ფრანც ბეკენბაუერზე რომ არაფერი ვთქვათ.

თუმცა, როგორც ამბობენ, დრონი მეფობენ და არა მეფენიო, დღეს გერმანიას, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ბუნდესნაკრების ქომაგთათვის, როგორც ასეთი, გამორჩეული ვარსკვლავი ერთადერთი ჰყავს — მიხაელ ბალაკი! კი, საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან მიროსლავ კლოზე, ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკაშ პოდოლსკიც, მაგრამ... აი, მეკარე ოლივერ კანიც რომ ყოფილიყო...

დღეს ჩვენ თანამედროვე გერმანიის ნაკრებზე ვსაუბრობთ, რომელსაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ 48 წლის იოახიმ ლიოვი წვრთნის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მუხლჩაუხრელად მუშაობს, რათა გერმანიას ის დიდება და სახელი დაუბრუნოს, წლების მანძილზე არა მარტო ევროპას, მთელ მსოფლიოს რომ აზანზარებდა. გერმანული მუნდიალის შემდეგ, ნაკრებიდან წასული იურგენ კლინსმანი ლიოვმა რომ შეცვალა, ბევრმა მის სამწვრთნელო საქმიანობას სკეპტიკურად შეხედა, იყო მწვავე, ზოგჯერ შეურაცხყოფის დონემდე მისული საჯარო განცხადებებიც, რომელი დიდი მწვრთნელია ლიოვი, ქვეყნის სახეს რომ აბარებენ, ეს ჩვენი საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა სულ მთლად ხომ არ გამოჩერჩეტდაო, მაგრამ მერე და მერე, ლიოვმა დაამტკიცა, რომ მშვიდი, აუღელვებელი და მუხლჩაუხრელი შრომით მიუღწეველი არაფერია, მისი გაწვრთნილი გერმანიის ნაკრები სათანადო სიმაღლეზე ასვლას ნაბიჯ-ნაბიჯ ლამობს, რომლის გვირგვინიც ეს ევროპის ჩემპიონატი თუ არა, მომავალი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ნაღდად უნდა იყოს. და, რაც მთავარია, ლიოვის ნაკრები სანიმუშო დისციპლინით გამოირჩევა, ძნელად თუ გავიხსენებთ, მის ხელში გერმანიის ნაკრებიდან თამაშის მსვლელობისას ფეხბურთელი გაეძევებინოთ და ესეც რომ არა, გუნდში ისეთი ურთიერთგაგება და ჰარმონიაა, რაც ზოგიერთ ნაკრებში დიდ პრობლემად იჩენს თავს ხოლმე.

გითხარით, თანამედროვე გერმანიის ნაკრებში გამორჩეული მიხაელ ბალაკია და რაა გასაკვირი იმაში, რომ მწვრთნელიც ტაქტიკას კაპიტნის გარშემო აგებს: 4-1-2-1-2 — ეს ის სქემაა, ბუნდესნაკრები რომ თამაშობს, ოთხი მცველის წინ ერთი საყრდენი, ჩამშლელი ნახევარმცველი დგას, უმეტესად ვერდერელი ტორსტენ ფრინგსი, ფლანგები ჰამბურგელ პიოტრ ტროხოვსკის (მარჯვენა) და „ბაიერნის" ბასტიან შვაინშტაიგერს (მარცხენა) აბარიათ, გამთამაშებელი ხსენებული ბალაკია, რომელსაც საგოლე პასებით მიროსლავ კლოზეს და მარიო გომესის (ხანაც ლუკაშ პოდოლსკის) მომარაგება ევალება. და, რადგან ტაქტიკაზე ვსაუბრობთ, აქვე ის ძირითადი თერთმეტეულიც ვახსენოთ, რომელსაც იოახიმ ლიოვი სავარაუდოდ, ავსტრია-შვეიცარიაში დაეყრდნობა: ლემანი — ლამი, მერტეზაკერი, მეცელდერი, იანსენი — ფრინგსი — ტროხოვსკი, შვაინშტაიგერი — ბალაკი — კლოზე, გომესი.

გერმანიის ნაკრების 23-კაციან შემადგენლობას რომ გადავხედოთ, თვალში ვეტერანი ფორვარდი ოლივერ ნოივილი მოგხვდებათ, რომელმაც მეორე ბუნდესლიგაში, მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა, მწვრთნელმა ულაპარაკოდ შეიყვანა განაცხადში, სწორედ 35 წლის ნოივილის დამსახურებაა, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ბუნდესლიგას „გლადბახი" რომ დაუბრუნდა.

ნახეთ ნოივილი, სამაგიეროდ, ვერ ნახავთ ბერნდ შნაიდერს, „ლევერკუზენის" ნახევარმცველს, რომლის არყოფნასაც იოახიმ ლიოვი ძალიან განიცდის — შნაიდერი ტრავმირებულია.

„მისი არყოფნა ჩვენთვის დიდი დარტყმაა, შნაიდერის გამოცდილება და კლასი მაგრად დაგვაკლდება, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, ეს ჩვენს თამაშზე არ აისახოს. ბოლო მომენტამდე ველოდი ექიმებისგან დადებით პასუხს, თუმც ამაოდ. ბერნდი საოპერაციოა" — განაცხადა ლიოვმა.

ერთი სიტყვით, ასეა. გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით ჩადის, ჯგუფიდან გასვლა, ვფიქრობთ, არ უნდა გაუჭირდეს, მეტოქეებად ლიოვის ბიჭებს თანამასპინძელი ავსტრია, ხორვატია და პოლონეთი ჰყავთ, მერე კი ჩემპიონობამდე ოდენ სამი მატჩია...

**გიორგი გაზაძიძე**



მიხაელ ბალაკი



იოახიმ ლიოვი

## არის ასეთი ქვეყანა

ომი, რა თქმა უნდა, საშინელებაა და განსაკუთრებით საშინელია, როცა მას ჰიტლერისთანა ადამიანი დაიწყებს. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გერმანელებს ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რაც სხვებს არ გაეკეთებინოთ. ყველას უომია. ადამიანები ტომებად რომ ცხოვრობდნენ, მაშინაც ომობდნენ და ერთმანეთს შუბებს ჩხვლეტდნენ. სახელმწიფოები იმიტომაც შექმნეს, რომ უკეთ ეომათ და სხვისთვის მეტი წაერთმიათ. ადამიანები ხომ უკეთ ფლობენ არსებობისთვის ბრძოლის ხერხებს.

სხვა საქმეა, რომ გერმანიას მეტი მოუვიდა და ამის გამო დღემდე ბოდიშს უხდის კაცობრიობას (თუნდაც ზედაპირულად). სხვა დიდრონი ქვეყნებისგან განსხვავებით, მას აღარ ჰყავს ასეულათასიანი არმია და არ აქვს ბირთვული იარაღი. თანამედროვე გერმანელი მისწრაფებით აღარ ჰგავს ტყავმოსხმულ და ხელში ნაჯახშემართულ გუთს, კიმბრს, ტევტონს ან ვანდალს. პრუსიელსაც კი აღარ ჰგავს. ახლა მის გონებაში სულ სხვა ფიქრები ტრილებს — დუისბურგელი იმას ჩივის, ლაიფციგელს რატომ აქვს ჩემზე მეტი სოციალური შეღავათებიო. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ხასიათში მაინც დარჩა რამდენიმე შტრიხი, რის გამოც გერმანია გერმანიად რჩება — უდიდესი შრომისმოყვარეობა და წესრიგი. ჰიტლერის მერე ქვეყანა მიწის პირისგან იყო აღგვილი, მაგრამ ბუნებრივი გზით წასულმა დასავლეთმა გერმანიამ 27 წელიწადში ოლიმპიადა ჩაატარა, ორი წლის შემდეგ საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა და კიდევ რამდენიმე წელიწადში ისე აღშენდა, რომ ომი სულ აღარ სჭირდება, თავი დაპურებულად, დაკმაყოფილებულად, მყუდროდ და მთლიანობაში, ბედნიერად რომ იგრძნოს. სხვათა შორის, გერმანელები თავისი გემრიელი მანქანებით დღემდე ტკბილად დადიან ომამდე დაგებულ გზებზე.

**ირაკლი ფირუზშვილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | იენს ლემანი | არსენალი, ინგლისი | 10.11.69 |
| 12 | რობერტ ენკე | ჰანოვერი | 24.08.77 |
| 23 | რენე ადლერი | ლევერკუზენი | 15.01.85 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მარსელ იანსენი | ბაიერნი | 04.11.85 |
| 3 | არნე ფრიდრიხი | ჰერტა | 29.05.79 |
| 4 | კლემენს ფრიცი | ვერდერი | 07.12.80 |
| 5 | ჰაიკო ვესტერმანი | შალკე | 14.08.83 |
| 16 | ფილიპ ლამი | ბაიერნი | 11.11.83 |
| 17 | პერ მერტეზაკერი | ვერდერი | 29.09.84 |
| 21 | კრისტოფ მეცელდერი | რეალი, ესპანეთი | 05.11.80 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | საიმონ როლფესი | ლევერკუზენი | 21.01.82 |
| 7 | ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 01.08.84 |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | ვერდერი | 22.11.76 |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ჩელსი, ინგლისი | 26.09.76 |
| 14 | პიოტრ ტროხოვსკი | ჰამბურგი | 22.03.84 |
| 15 | თომას ჰიცლშპერგერი | შტუტგარტი | 05.04.82 |
| 18 | ტიმ ბოროვსკი | ვერდერი | 02.05.80 |
| 19 | დავიდ ოდონკორი | ბეტისი, ესპანეთი | 21.02.84 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | მარიო გომესი | შტუტგარტი | 10.07.85 |
| 10 | ოლივერ ნოივილი | მიონხენგლადბახი | 01.05.73 |
| 11 | მიროსლავ კლოზე | ბაიერნი | 09.06.78 |
| 20 | ლუკაშ პოდოლსკი | ბაიერნი | 04.06.85 |
| 22 | კევინ კურანი | შალკე | 02.03.82 |

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი (48)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## B ჯგუფი. პოლონეთი

# გაფრინდებიან თეთრი არწივები?

**გამოცდილმა** ლეო ბეენჰაკერმა მოახერხა და პოლონელები ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, თან ისე, რომ შესარჩევ ჯგუფში „თეთრი არწივები" პირველ ადგილზე გავიდნენ და პორტუგალია უკან მოიტოვეს.

65 წლის სპეციალისტს, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს (მან მწვრთნელობა 25 წლის ასაკში დაიწყო) და ფეხბურთში ბევრი რამ უნახავს, მორიგი პატარა სასწაულის მოხდენა მოუწევს, რათა პოლონეთი ჯგუფიდან გაიყვანოს, რადგან მასპინძელი ავსტრია სულ რომ არ ვახსენოთ, გერმანიასთან და ხორვატიასთან ჭიდილი ძალიან ძნელი იქნება.

ბოლო წლებში ნაკრებს პოლონელთა ლეგენდები გჟეგოჟ ლიატო, ზბიგნევ ბონეკი და პაველ იანასი წვრთნიდნენ, მაგრამ არცთუ წარმატებით და საბოლოოდ, ნაკრები უცხოელს ჩააბარეს. ბეენჰაკერმაც გაამართლა და მისი ახლაც ეიმედებათ. სხვათა შორის, ჟურნალმა Wprost იგი პოლონეთში 2007 წლის ადამიანად აღიარა.

ჰოლანდიელ სპეციალისტს „აიაქსში", „ფეიენოორდში", „ამერიკაში", „გვადალახარაში", „სარაგოსაში", „რეალში", ჰოლანდიისა და ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებში უმუშავია...

„თეთრ არწივებს" რამდენიმე სხვადასხვა ტაქტიკური სქემით თავისუფლად შეუძლიათ თამაში, მაგრამ უპირატესობას 4-5-1-ს ანიჭებენ. მათ მეორე ნომრად, კონტრიერიშებზე თამაში კარგად გამოსდით. გამოკვეთილ ფორვარდად გამოცდილი მაცეი ჟურავსკი გვევლინება. მასზე ცოტა უკან ეუსებიუშ სმოლიარეკია. მათ რეაქტიული ნახევარმცველები, იაკუბ ბლაშჩიკოვსი და იაცეკ კრჟინოვეკი ეხმარებიან. ბურთების მოპოვებაზე კი დარიუშ დუდკა და მარიუშ ლევანდოვსკი ზრუნავენ.

დაცვა პოლონელთა ყველაზე შეთამაშებული და რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ალბათ ყველაზე პრობლემური რგოლია. შესარჩევ ეტაპზე „თეთრმა არწივებმა" 14 მატჩში 12 გოლი გაუშვეს, რაც კარგი შედეგი ნამდვილად არ არის.

მეკარე არტურ ბორუცი კი შეგვიძლია ნაკრების მთავარ იმედად ჩავთვალოთ. გლაზგოს „სელტიკის" კარის დარაჯს სჩვევია საოცრად რთული ბურთების მოგერიება და თავისი ნიჭის გამოვლენა ევრო 2008-ზეც დიდი დოზით მოუწევს, რათა პოლონელებმა სასურველ შედეგებს მიაღწიონ.

რადოსლავ სობოლევსკიმ შესარჩევი ეტაპის მერე სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მისი სეხნია მატუსიაკი ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ ბეენჰაკერის თქმით კიდევ დასახვეწი გახლავთ. „ცრვენა ზვეზდას" მცველმა გჟეგოჟ ბრონოვიცკიმ კი ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და განაცხადშიც ვერ მოხვდა. სხვათა შორის, დაშავებულია ბლაშჩიკოვსკიც და ალბათ გერმანიასთან მატჩის გამოტოვება მოუწევს. დარჩენილ შეხვედრებში კი მისი ძალიან ეიმედებათ.

სიურპრიზად შეიძლება ნატურალიზებული ბრაზილიელი როჟერ გერეირო მოგვევლინოს, ვისთვისაც ჩინოვნიკებმა გამონაკლისიც კი დაუშვეს — პოლონეთის მოქალაქე რომ გახდე, იქ 5 წელი უნდა ცხოვრობდე, 26 წლის ფეხბურთელის სტაჟი კი მხოლოდ 3-წლიანია.

სხვათა შორის, პოლონეთის ნაკრებში თამაშს „ინტერის" საკუთრებაში მყოფ „კალიარის" ფორვარდ რობერტო აკვაფრესკასაც სთავაზობდნენ, რომლის დედაც პოლონეთიდან იტალიაში 1978 წელს გადაბარგდა. თუმცა აკვაფრესკამ წინადადებაზე უარი თქვა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, მსგავსი „ფოკუსი" პოლონელებმა წარმატებულად ჩაატარეს. მაშინ, წარმოშობით ნიგერიელი ემანუელ ოლისადებე 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პოლონეთის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ნაკრებს ფინალურ ეტაპზე გასვლაში გვარიანად დაეხმარა.

საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატის 90 მატჩში (შესარჩევი შეხვედრების ჩათვლით) პოლონელებს ზუსტად 100 გოლი აქვთ გაშვებული. მათ საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი ექნებოდათ, ეს მრგვალი ციფრი ევრო 2008-ის მერეც უცვლელად დარჩენილიყო, მაგრამ...

**ძოძი ძანძღლაძი**



ლეო ბეენჰაკერი



პოლონელებმა სიურპრიზი მოამზადეს

## არის ასეთი ქვეყანა

ზედ მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ, ფაშისტების და სოციალისტების სრულიად განსხვავებულ ულვაშიანმა ბელადებმა ერთმანეთში ორი შედარებით სუსტი ქვეყანა გაიყვეს — სოციალისტებს ფინეთი შეხვდათ, ფაშისტებს პოლონეთი ერგოთ. და დაიძრნენ სვასტიკიანი ტანკები ამ საწყალ „რეჩ პოსპოლიტაზე". დახოცეს, მიწასთან გაასწორეს... ვარშავა ნანგრევებად აქციეს, კრაკოვიც მიაყოლეს, არც სხვა ქალაქებს დააკლეს. პოლონელები იბრძოდნენ ბოლომდე და დახმარებას ელოდნენ, ელოდნენ, ელოდნენ...

ვერ ერგო ამ ხალხს რიგიანი მეზობლები. გერმანელ-პრუსიელები თავიდანვე სტანჯავდნენ და მიწებს სტაცებდნენ. ბალტიის ზღვა ჩაუკეტეს. მერე აქედან რუსებიც მიადგნენ. გასაკვირია, როგორ გადაურჩნენ გაჭყლეტვას. იბრძოდნენ, არ ნებდებოდნენ, მესასაც ლათინურ ენაზე სწირავდნენ და ფრანგებს სთხოვდნენ, რომელიმე თქვენი უფლისწული გამოუშვით, რათა აქ მეფედ დავსვათო. ეთნიკურად სლავური პოლონეთი დღესაც იმიტომაა ასეთი კათოლიკური, რომ მართმადიდებლობა რუსეთს ნიშნავდა, პროტესტანტობა კი გერმანიას, ის კი არც ერთი იყო და, მით უმეტეს, არც მეორე. პოლონეთი იყო ერთი, სხვათაგან სრულიად განსხვავებული ქვეყანა, რომელსაც თავისით ცხოვრებას არ აცდიდნენ. მეფის დროს რუსები ხშირად ასახლებდნენ იქაურ დაუმორჩილებელ ოფიცრებს საქართველოში. პოლონელთა და ქართველთა მეგობრობაც მე-19 საუკუნეში ჩაისახა. ხოლო ჩრდილოელმა მეზობელმა რომ გაგვაწითლა, ბევრმა ქართველმა თავი პოლონეთს შეაფარა.

დღეს პოლონეთი ნატოშიცაა და ევროკავშირშიც, მოფლიოს ჩემპიონატებს ვერ მასპინძლობს, მაგრამ იქ არცთუ იშვიათად თამაშობს და ესეც ხომ საქმეა.

**ირაკლი ფირცხალი**

### მეკარეები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | არტურ ბორუცი | სელტიკი, შოტლანდია | 20.02.80 |
| 12 | ტომაშ კუშჩაკი | მანჩესტერი, ინგლისი | 20.03.82 |
| 22 | ლუკაშ ფაბიანსკი | არსენალი, ინგლისი | 18.04.85 |

### მცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | მარიუშ იოპი | მოსკვა, რუსეთი | 03.08.78 |
| 3 | იაკუბ ვავრჟინიაკი | ლეგია | 07.07.83 |
| 4 | პაველ გოლანსკი | სტიაუა, რუმინეთი | 12.10.82 |
| 6 | იაცეკ ბაკი | აუსტრია, ავსტრია | 24.03.73 |
| 13 | მარჩინ ვასილევსკი | ანდერლეხტი, ბელგია | 09.06.80 |
| 14 | მიხალ ჟევლაკოვი | ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი | 22.04.76 |
| 23 | ადამ კოკოშკა | ვისლა | 06.10.86 |

### ნახევარმცველები

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | დარიუშ დუდკა | ვისლა | 09.12.83 |
| 8 | იაცეკ კრჟინოვეკი | ვოლფსბურგი, გერმანია | 15.05.76 |
| 10 | ლუკაშ გარგულა | გკს ბელხატუვი | 25.02.81 |
| 15 | მიხალ პაზდანი | გურნიკი | 21.09.87 |
| 16 | იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი, გერმანია | 14.12.85 |
| 18 | მარიუშ ლევანდოვსკი | შახტარი, უკრაინა | 18.05.79 |
| 19 | რაფალ მურავსკი | ლეხი | 09.10.81 |
| 20 | როჟერ გერეირო | ლეგია | 25.05.82 |

### თავდამსხმელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | ეუსებიუშ სმოლიარეკი | რასინგი, ესპანეთი | 09.01.81 |
| 9 | მაცეი ჟურავსკი | ლარისა, საბერძნეთი | 12.09.76 |
| 11 | მარეკ საგანოვსკი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 31.10.78 |
| 17 | ვოიცეხ ლობოძინსკი | ვისლა | 20.10.82 |
| 21 | ტომაშ ზაჰორსკი | გურნიკი | 22.11.84 |

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი (65)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფერგიუსონი: რონალდუ რჩება

**კრიშტიანუ რონალდუს** კვლავ მადრიდის „რეალს“ უკავშირებენ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ 23 წლის პორტუგალიელი „ოლდ ტრეფორდზე“ დარჩება.

„რონალდუს ჩვენთან მშვენიერი კონტრაქტი აქვს. იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და მერწმუნეთ, დარჩება. ამგვარ თამაშს „რეალი“ მუდამ თამაშობს. ადრე იგივე გააკეთეს დევიდ ბექემთან, რუუდ ვან ნისტელროისთან და სხვა ფეხბურთელებთან მიმართებაში. თუმცა დარწმუნებული ვარ, კრიშტიანუ მომავალ სეზონს „მანჩესტერში“ გაატარებს და ჩვენ მისი დიდი ხნით შენარჩუნება გვინდა“ — თქვა ფერგიუსონმა.

## მელუ ფიორენტინაში გადავიდა

**ფლორენციის** „ფიორენტინა“ კიდევ ერთი ფეხბურთელით გამლიერდა. „იებმა“ „ალმერიასგან“ ნიჭიერი ნახევარმცველი ფელიპე მელუ იყიდეს. 24 წლის ფეხბურთელმა პრიმერადივიზიონის გასულ სეზონში ჩინებულად ითამაშა და არაერთი კლუბის ინტერესი დაიმსახურა, მაგრამ „ფიორენტინამ“ ყველას დაასწრო. ფანებსა და ჟურნალისტებს ბრაზილიელ შუახაზელს ოფიციალურად პარასკევს წარუდგენენ.

## ტუნისი და კოელიუ

**ტუნისის** ნაკრები უმბერტო კოელიუს ჩააბარეს. მან პოსტზე ფრანგი როჟე ლემერი შეცვალა, რომელიც 1 ივლისს ოფიციალურად გახდება მაროკოს მწვრთნელი. 58 წლის კოელიუს მიზანი ტუნისელთა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა იქნება.

პორტუგალიელი სპეციალისტი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების გარდა მაროკოს და სამხრეთ კორეასაც წვრთნიდა.

## გროსო სამშობლოში ბრუნდება

**იტალიის** ნაკრების მცველმა ფაბიო გროსომ ფრანგული „ლიონის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად ვერ მოიკიდა და ვრცელდება ცნობები, რომ დიდი შანსია, იგი სამშობლოში დაბრუნდეს. „პალერმოსა“ და „ინტერის“ ექსფეხბურთელით „იუვენტუსი“, „რომა“ და „ფიორენტინა ყოფილად დაინტერესებულნი. გროსოს ტრანსფერის ამბავი ალბათ ევრო 2008-ის დასრულების მერე გადაწყდება.

## სივოკი წავიდა, ლანჯელა მოვიდა

**ჩეხი** ნახევარმცველი ტომაშ სივოკი, რომელიც „უდინეზეს“ ვერ მოერგო, კლუბმა „ბეშიქთაშში“ გაყიდა. 24 წლის ნახევარმცველმა თურქებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამავდროულად, „უდინეზემ“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატა 31 წლის ანტონიო ლანჯელა, რომელმაც გასული სეზონი „ატალანტაში კარგად ჩაატარა, მაგრამ ახალ კონტრაქტზე ბერგამოელებს ვერ შეუთანხმდა.

## გაზა გამოწერეს

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა პოლ გესქოინმა საავადმყოფო დატოვა. მოგეხსენებათ, მისი ჯანმრთელობა და ფსიქიკური მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო გახლდათ. გაზა წელს უკვე ორჯერ მოხვდა ჰოსპიტალში. ექიმების თქმით, ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## ლაციომ ბალოტა გაუშვა

**რომის** „ლაციო“ ამ ზაფხულს მაინც გეგმავს ხუან პაბლო კარისოს ტრანსფერის ბოლომდე მიყვანას. ამიტომ „ბიანკოჩელესტის“ ხელმძღვანელობა ვეტერან მეკარე მარკო ბალოტასთან ახალ კონტრაქტს აღარ აფორმებს. თუმცა 44 წლის გოლკიპერი კარიერის დასრულებას არ აპირებს, თამაში სერია B-ში ახალაღზევებულ „სასუოლოში“ უნდა გააგრძელოს.

„ლაციო“ ფორვარდის ძიებასაც აგრძელებს — ნიკოლა ამორუზოს დამატების მერე ბრეშელი ანდრეა კარაჩოლოს გადაბირებასაც აპირებს.

## მწვანეებმა გომისი შეინარჩუნეს

**ბატეფიმბი გომისმა** „სენტ-ეტიენთან“ კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. არადა, 22 წლის ფორვარდს „ნიუკასლი“, „არსენალი“, „მარსელი“, პსჟ და სხვა კლუბები იწვევდნენ.

„ჩემთვის პრიორიტეტული ყოველთვის „სენტ-ეტიენში“ დარჩენა იყო. მნიშვნელოვანი გახლდათ, ყველაფერი ევრო 2008-ის დაწყებამდე გადაწყვეტილიყო. იმედია, „მწვანეებთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ“ — თქვა გომისმა.

## ესპანიოლს მარკესი გაწვრთნის

**ესპანურმა** „ესპანიოლმა“ მწვრთნელად კლუბის ყოფილი ფეხბურთელი ბართოლომე მარკესი დანიშნა. 46 წლის სპეციალისტმა ამ პოსტზე ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ წასული ერნესტო ვალვერდე შეცვალა.

„ეს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობამ ერთხმად მიიღო. მარკესი გუნდის წინსვლის პროექტსა და შემადგენლობის გაახალგაზრდავებას გააგრძელებს“ — ნათქვამია „ესპანიოლის“ განცხადებაში.

**კოკი კანდელაკი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი



## კატასტროფა იტალიურად!

**ფაბიო კანავარო** დაშავდა და ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. მის ადგილს „სკუარდა აძურაში“ დაიკავებს „ფიორენტინას“ მცველი ალესანდრო გამბერინი.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იტალიელთათვის, მერე კი მთელი მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულთათვის საძაგელი ამბავი, ავსტრიაში დაბანაკებული იტალიის ნაკრების პირველსავე ვარჯიშზე მოხდა. „აძურის“ კაპიტანი მინი-მატჩის დროს თანაგუნდელ ჯორჯო კიელინის უხერხულად წამოედო. იტალიელთა ექიმის, პაოლო ძეპილის თქმით, ეჭვი, რომ 34 წლის ვარსკვლავს საკმაოდ სერიოზული ტრავმა ჰქონდა, თავიდანვე გაჩნდა, რაც მოგვიანებით მისი „ადმირა ვაკერის“ მოედნიდან ქალაქის საავადმყოფოში გადაყვანამ და გამოკვლევებმა დაადასტურა. ყველაფერს კიდევ უფრო ზუსტად თანდათანობით დაადგენენ, თუმცა საავადმყოფოდან ამწუთას გამოსულ ხმებზე დაყრდნობითაც ბევრი ცუდი დაზიანება შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, მაგალითად მარცხენა ფეხზე ორი მყესის გაწყვეტა, რასაც დიდი შანსია, ოპერაცია დასჭირდეს.

კანავაროს ადგილს კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფლორენციელი გამბერინი დაიკავებს. შედარებისთვის: კანავაროს ნაკრების მაისურით 116 თამაში აქვს ჩატარებული, გამბერინის კი ორი. ის 26 წლის არის და გასული სეზონი არცთუ ცუდი ჰქონდა. კერძოდ, „იების“ შემადგენლობაში გამბერინიმ სერია A-სა და უეფას თასზე 40 მატჩში მიიღო მონაწილეობა. „ფიორენტინამდე“ გამბერინი „ბოლონიაში“ გამოდიოდა.

**პაპუნა კედია**

## ნოა ჟენევაში

**„ფან ზონ“**, ანუ ფანების ზონა, იოლი მისახვედრია, რაც უნდა იყოს — ევრო 2008-ის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ჟენევის ფანთა ზონა ჩემპიონატის დღეებში ერთ-ერთი ყველაზე ცხელი და საინტერესო ადგილი იქნება.

ეს ადგილი, ჟენევის ფან-ზონა, ჩემპიონატში ჩართული ოთხივე შვეიცარიული ქალაქის ფან-ზონაზე დიდია. მას ჩეხი, თურქი და პორტუგალიელი ქომაგები დაავგემოვნებენ — ჟენევაში ხომ სწორედ ამ ქვეყნების ნაკრებები ატარებენ ჯგუფური ეტაპის თამაშებს.

ამ ზონაში ორი 60-კვადრატულმეტრიანი ეკრანი და უამრავი კულტურული პროგრამაა. ერთ-ერთი პროგრამათაგანი წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელის, შემდგომში კი პოპ-ვარსკვლავის, იანიკ ნოას შოუ გახლავთ.



ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ათასგვარი შეჯიბრების, კონკურსის და ღონისძიების წყალობით ფანებს მეგობრულ ატმოსფეროში მოაქცევენ.

## ვინც თქვა, გამეჯიბროს

**გერმანული „დორტმუნდის“ ხორვატი მცველი ნიკო კოვაჩი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და გამორჩეული წევრია. „კიკერმა“ მას კარსმომდგარი ევრო 2008-ის შესახებ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა**

**— უნგრეთთან ამხანაგური მატჩი ფრედ, 1:1 ითამაშეთ. სხვათა შორის, თქვენ საკუთარ კარშიც გაიტანეთ და მეტოქისაშიც. რამდენად მზად არის ხორვატია ევროპის ჩემპიონატისთვის?**

— რასაკვირველია, მოგება გვინდოდა, მაგრამ თამაშით უკმაყოფილო ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი. ახლა ასე მარტივად აღარ ხდება, რომ 4:0-ს იგებდე და სახლში მიდიოდე, თან უნგრეთი საკმაოდ ძლიერი გუნდია. რაღაც-რაღაცები დასახვეწი გვაქვს, მაგრამ დრო ჯერ კიდევ არის და მოვასწრებთ.

**— ხორვატიას დაცვა მუდამ ძლიერი ჰყავდა, მაგრამ ახლა გარკვეული პრობლემები გაქვთ...**

— დიახ, მე ძალიან ნელი ვარ, როგორც თქვენ წერთ. თუმც მზად ვარ, ვინც ეს თქვა, სისწრაფეში გავეჯიბრო... ხუმრობის გარეშე კი, ცხადია, დაცვაში საიმედო თამაში უმნიშვნელოვანესია. თუ ხუთ გოლს გაუშვებ, ძნელია, ექვსი გაიტანო. გერმანიის ნაკრებსაც აქვს დაცვაში პრობლემები და ამაზეც წერთ. თუმც მჯერა, თამაშების დაწყებისთვის ჩვენც და გერმანელებიც ხარვეზებს გამოვასწორებთ.

**— რამდენად დიდია მეოთხედფინალში თქვენი გასვლის შანსები?**

— ჩვენი ძალა გუნდურ თამაშშია, საბრძოლო ჟინსა და გამოცდილი ფეხბურთელების ახალგაზრდებთან სწორ სინთეზში. თუმცა ახლა ხორვატიის ნაკრები განვითარების პირველ საფეხურზეა. გერმანია ჯგუფის უდავო ფავორიტია, ჩვენ კი მეორე ადგილისთვის პოლონეთს შევებრძოლებით.

**— მასპინძელ ავსტრიას არც ახსენებთ?**

— ყველა ნაკრებს პატივისცემით ვუყურებ, მაგრამ ჩემი აზრით, ავსტრია ჯგუფის აშკარა აუტსაიდერია.

**— შესაბამისად, პირველ მატჩში ავსტრიელებთან მოგება აუცილებელია?**

— პირველი თამაში ყოველთვის გადამწყვეტია. თუ მოიგებ, სხვები წნეხის ქვეშ ხვდებიან და თავდაჯერებულებას კარგავენ. თუ ვერ იმარჯვებ, თავადვე ვარდები რთულ მდგომარეობაში. წინა დიდ ტურნირებში ეს უკვე კარგად გამოვცადეთ და იმედია, ამჯერად წარმატებული სტარტი გვექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი



## ვერა ვიეირა? ჯერ გაუშვეს და მერე დააბრუნეს

**თავდაპირველად** ევროპამ ასეთი ინფორმაცია შეიტყო: საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა რაიმონ დომენკმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გამოცდილი პატრიკ ვიეირა ევრო 2008-ის პირველ შეხვედრაში ვერ ითამაშებს. „ინტერის" ნახევარმცველმა გასულ პარასკევს ვარჯიშისას მარცხენა კოჭი დაიზიანა და 9 ივნისს ციურიხში, რუმინელების წინააღმდეგ მოედანზე ვერ გავა.

ფრანგული ფეხბურთის ქომაგთა სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია თანდათან დამძიმდა და ბოლოს ასეთი სახე მიიღო: როგორც ჩანს პატრიკ ვიეირა ევროპის ჩემპიონატზე საერთოდ ვერ ითამაშებს, ამიტომ „ლურჯების" თავკაცმა რაიმონ დომენეკმა ნაკრებში მატიე ფლამინი გამოიძახა.

ასე და ამგვარად, ნახევარმცველს, რომელიც ახლახანდამთავრებული სეზონის ბოლოს „არენალიდან" „მილანის" გზას გაუდგა, რამდენიმე დღის წინ კი კლერფონტენის შეკრებაზე მყოფ, დომენეკის 30-კაციან, ანუ გაფართოებულ გუნდშიც ირიცხებოდა, ახალი შანსი გამოუჩნდა და თან სერიოზული.

რაც შეეხება ვიეირას, რომელსაც 23 ივნისს 32 წელი შეუსრულდება, მკურნალობას განაგრძობს.

„პატრიკთან დაკავშირებით არც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და არც პესიმისტურად — თქვა დომენეკმა — ჩემი საქმეა გუნდში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენისადმი მაქსიმალური ყურადღებით ვიყო და ყველა ღონე ვიხმარო, რათა ჯგუფში თავმოყრილ უძლიერეს მეტოქეებთან კონკურენციისათვის საუკეთესოდ ვიყოთ მომზადებული. გუნდი, რომელიც სტარტისთვის საუკეთესო მდგომარეობაში არ იქნება, დაუყოვნებლივ დაისჯება".

ზემოთ ვახსენეთ, რომ ფლამინი 28 მაისს, კლერფონტენის საწვრთნელი ცენტრიდან დაითხოვეს. დომენეკმა მასთან ერთად უარი უთხრა ჰათემ ბენ არფას, ჯიბრილ სისეს, მიკაელ ლანდროს, ალუ დიარას, ჟულიენ ესკუდეს და ფილიპ მექსესს, მაგრამ გამომშვიდობებისას მწვრთნელმა თითოეულ მათგანს მაინც ყურადღებით ყოფნა სთხოვა, ტრავმები გამორიცხული არ არისო და როგორც ხედავთ, მართალი გამოდგა.

ევროპის ჩემპიონატის დებულებაში წერია: „თუკი ჩემპიონატის პირველ თამაშამდე განაცხადში შეყვანილი ფეხბურთელი სერიოზულად დაშავდება, მისი სხვა ფეხბურთელით შეცვლა შესაძლებელი გახდება უეფას სამედიცინო კომიტეტის ექიმისა და საკუთრივ იმ გუნდის ექიმის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე".

საფრანგეთის ნაკრებმა ბოლო ამხანაგური შეხვედრა „სტად დე ფრანსზე" კოლუმბიასთან გუშინ საღამოს ითამაშა.

*P.S. გუშინ საღამოს დომენეკმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: ფლამინი ევრო 2008-ს ტელევიზორში ნახავს, ხოლო ვიეირა მაშინ ითამაშებს, როცა 100 პროცენტით იქნება მზად.*

**პაატა ბედია**

## ერთი ამბავი პორტუგალიის გამო

**ესაო,** ისაო, შვეიცარიელები ცივსისხლიანი ხალხია, ემოციის გამოხატვა და აღფრთოვანება არ უყვართო... ნოიშატელში, „ლა მალადიერზე", პორტუგალიის ნაკრების ვარჯიშს 12 ათასი ადამიანი დაესწრო! თან, ხომ არ გგონიათ, რომ ეს ხალხი იქ ვინმემ უფასოდ შეუშვა, ბილეთები იყიდებოდა, თითო ცალი 15 შვეიცარიული ფრანკი ღირდა, რაც 14,42 ამერიკული დოლარი გახლავთ. ის კი არა, ამბობენ, ამ საქმით ხელი ქორვაჭრებმაც მოითბესო — ჩვეულებრივ „შავ ბაზარზე" მოგახსენებთ, სადაც თითო ბილეთი ოთხმაგი დაფასებულა.

ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ და შვეიცარიელებზე ცივსისხლიანი აღარ ვთქვათ, მითუფრო, როდესაც პორტუგალიელ ემიგრანტებზე გვაქვს ლაპარაკი, თანაც მაშინ, როდესაც მათ ქალაქში სავარჯიშოდ პორტუგალიის ნაკრები ჩადის თავისი კრიშტიანუ რონალდუებით.

ასე და ამგვარად, პორტუგალიის ნაკრები შვეიცარიაში კვირა საღამოს ჩაფრინდა, სადაც სასტუმროს წინ 10 ათასი კაცი მიეგება. „ნოიშატილი პორტუგალიის პატარა ნაწილია შუაგულ ევროპაში" — დაიწერა maisfutebol.iol.pt-ზე.

მეორე მხრივ კი, როგორც ხსენებული ნაკრების ტექნიკური დირექტორის, კარლოს გოდინიუს ნათქვამიდან ირკვევა, გუნდმა ეს (და კიდევ ერთი) ღია ვარჯიში საგანგებოდ მოიგონა, რადგან ევროპის პირველობაზე მონაწილეობა საკმაოდ ძვირი უჯდება და ვარჯიშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვით ცოტათი ამოსუნთქვას ვარაუდობენ.

„ჩვენ ერთადერთი ნაკრები ვართ, რომელიც ვარჯიშის ბილეთებს ყიდის, მაგრამ, ასევე ერთადერთი ვართ, რომლის ვარჯიშის სანახავად 12 ათასი ადამიანი მიდის" — ამაყად განაცხადა ხსენებულმა ბატონმა ტექნიკურმა დირექტორმა.

თუმცა, ფანები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი ფეხბურთელებს არ მიაკარეს. როგორც სტადიონზე, ასევე სასტუმროსთან, მთელ პერიმეტრზე, სიგრძესა და სიგანეზე უპრეცედენტო რაოდენობის წესრიგის დამცველი იდგა. ის კი არა, ბარიერები სასტუმროდან 300 მეტრში გახლდათ დაწყობილი.

პორტუგალიის ნაკრებს პირველი თამაში შაბათს ჟენევაში აქვს, თურქეთს ხვდება.

**პაატა ბედია**



პორტუგალიელთა 12-ათასიანი ვარჯიში

**შვეიცარიის** ნაკრების მზადება ორშაბათს შეფერხდა: გუნდის მწვრთნელის, იაკობ კუნის მეუღლე საავადმყოფოში წაიყვანეს.

64 წლის კუნი სწორედ რომ ქვეყნის შუაგულში დაბანაკებულ თავის გუნდს უნდა შეხვედროდა, მაგრამ გეზის შეცვლა და მეუღლის საავადმყოფოში გაცილება მოუხდა.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადების თანახმად, ქალბატონ ალის კუნს ეპილეფსიის შეტევა ჰქონდა, თუმცა ამას მისი მეუღლისთვის გუნდთან მაქსიმუმ გუშინ დაბრუნებაში ხელი არ უნდა შეეშალა.

***

**დღეს** ესპანეთის ნაკრები აშშ-ს ესპარინგება და ამით ლუის არაგონესის გუნდი ევრო 2008-ის წინ ამხანაგურ თამაშებს ასრულებს.

გაზეთ „მარკას" თქმით, ამ შეხვედრას „ბარსელონას" ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა გააცდენს. ინიესტა გაცივებულა და კუჭი აშლია.

შეგახსენებთ, რომ ესპანელები პირველ ევროთამაშს 10 ივნისს რუსების წინააღმდეგ ინსბრუკში ჩაატარებენ.

***

**ხორვატიის** ნაკრებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ივო სანადერი ესტუმრა.

„მე აქ იმიტომ ვარ, რომ ევრო 2008-ზე წარმატება გისურვოთ — უთხრა პოლიტიკოსმა ფეხბურთელებს — დარწმუნებული ვარ, თქვენი თამაში, უპირველეს ყოვლისა, ვაჟკაცური იქნება".

პასუხად, ბატონ სანადერს კაპიტანმა ნიკო კოვაჩმა ყველა მოთამაშის ხელმოწერილი ნაკრების მაისური აჩუქა.

***

**ჰოლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ დაშავებული თავდამსხმელი რობინ ვან პერსი ვარჯიშს დღეს, ოთხშაბას შეუდგება. ის კი არა, ვან ბასტენის თქმით, სულაც არ არის გამორიცხული, ვან პერსიმ ევროპის ჩემპიონატის პირველსავე შეხვედრაში ითამაშოს. ეს შეხვედრა ჰოლანდიელებს 9 ივნისს იტალიელებთან აქვთ.

„რობინი თავს უკვე ნორმალურად გრძნობს და მზად არის, ოთხშაბათიდან ვარჯიშს შეუდგეს — ბრძანა ვან ბასტენმა — რაც შეეხება მის პირველ თამაშს, ამაზე ლოზანაში პირველივე ვარჯიში გაგვცემს პასუხს".

***

**მოგეხსენებათ,** შენგენის ქვეყნებს ერთმანეთში უვიზო, სრულიად თავისუფალი მიმოსვლა აქვთ. ჩვეულებრივ, თუ ვინმემ არ გითხრა, ვერც კი გაიგებ, როდის დამთავრდა ერთი ქვეყანა და როდის დაიწყო მეორე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დღეებში ეს იდილია შეიცვალა — ავსტრიელებმა თავიანთ საზღვრებზე პოსტები დადგეს. როგორც ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა გიუნტერ პლატერმა განაცხადა, ამ პოსტებზე შემოწმება შემაწუხებელი ნამდვილად არ იქნება, უბრალოდ, ავსტრიელები შესაძლო ხულიგანთა ზედმეტი შემოწმებით ერთხელაც დაიზღვევენ თავს. ხუმრობა ხომ არ არის, ივნისში ავსტრიაში მილიონი უცხოელი შევა.

***

**ევროპის** ჩემპიონატზე სიახლეა: იწყება აქცია, რომელსაც „ქომაგის სურვილები" ჰქვია. ევრო 2008-ის ერთ-ერთი სპონსორის თაოსნობით, ბაზელისა და ვენის ფან-ზონებში მოაწყობენ ვიდეოკაბინებს, სადაც კამერებს დაამონტაჟებენ და ნებისმიერ ქომაგს იქ მისვლა და თავისი სურვილის ჩაწერა შეეძლება. როგორც ამბობენ, ამ სურვილებს ევროპის პირველობის მასპინძელ რვავე სტადიონზე, მატჩების შესვენებებისას ტაბლოებზე გაუშვებენ.

***

**რუმინეთის** ნაკრები შვეიცარიაში ჩავიდა, მაგრამ პირველივე ვარჯიში დაუბრკოლდა. მიზეზი: შეუდგნენ თუ არა რუმინელები საქმეს, 20 წუთში საშინელი სეტყვა წამოვიდა, თუმცა მალე ამინდი კვლავ გამოვიდა და ფეხბურთელები მოედანს დაუბრუნდნენ.

***

**ჩეხების** პირველი ავსტრიული ვარჯიში დაგეგმილზე ნახევარი საათით გვიან დაიწყო. ამ ინციდენტის მიზეზი ზეეფალდის სტადიონის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ცუდად გახდომა გახლდათ. მას გულის შეტევა მოუვიდა, მაგრამ სამედიცინო ჩარევის წყალობით ავადმყოფი გადარჩა.

***

**ვენიდან** იუწყებიან, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილე თექვსმეტივე გუნდი დოპინგ-კონტროლზე გაატარეს და ყველა სუფთა აღმოჩნდა. ყველა გუნდის შემოწმება, უეფას კომუნიკაციათა ოფიცერის უილიამ გაილარის თქმით, თითოეულისგან 8-10 ფეხბურთელის შემოწმებას ნიშნავდა.

***

**რუსეთის** ნაკრების სამი ფეხბურთელი — პაველ პოგრებნიაკი, იგორ აკინფეევი და ვლადიმირ გაბულოვი — მიუნხენში გაემგზავრა, რათა გერმანელებთან შემოწმება გაიარონ. მათ თან რუსეთის ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი გაჰყვა. აკინფეევისა და გაბულოვის საქმე სერიოზულად არ არის. რუსებს ახლა, უპირველესად, პოგრებნიაკის ამბავი აინტერესებთ. სწორედ მიუნხენში გავლილი ტესტების მერე გადაწყდება, დაეხმარება თუ ვერა ზენიტელი ნაკრებს.

***

**ევრო 2008-ის** ერთ-ერთი მასპინძლის, ავსტრიის ნაკრების მცველმა ემანუელ პოგატეცმა ბოლო ვარჯიშები გამოტოვა. 25 წლის ფეხბურთელს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ ავსტრიელთა მწვრთნელი იოზეფ ჰიკერსბერგერი დარწმუნებულია, რომ პოგატეცი ხორვატებთან პირველ მატჩში თამაშს შეძლებს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერიაB | | | | | | |
| | | 4 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 142 | პიზა-ლეჩე | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 23:00 | 143 | ბრეშა-ალბინოლეფე | 1.75 | 2.90 | 5.10 | 1.09 | 1.30 | 1.84 |
| | | ბელგია. IIდივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 250 | ტუბეკე-ჰევერლე | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 22:30 | 251 | ლომელი-ანტვერპენი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | დანია. Iდივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 155 | ნესტვედი-ფრედერისია | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 21:00 | 156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 3.95 | 3.25 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.85 | 3.25 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.74 |
| 21:00 | 158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.60 | 3.70 | 4.75 | 1.11 | 1.19 | 2.07 |
| 21:00 | 159 | ორჰუსიფრ-აკადემისკი | 2.25 | 3.40 | 2.75 | 1.35 | 1.23 | 1.52 |
| 21:00 | 160 | კიოგე-ფრემი | 1.90 | 3.25 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 161 | ვეილე-ლოლანდი | 1.30 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.76 |
| 21:00 | 162 | სკივე-სანდერილანდი | 3.75 | 3.25 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.17 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 4 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 171 | რუსენბორგი-ბრანი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 172 | ვოლერენგა-ჰამკამი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 4 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 21:00 | 187 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:00 | 188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 21:00 | 192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.60 | 3.35 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.00 |
| 21:00 | 193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 03:30 | 207 | ვაშინგტონი-ჰიუსტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 03:30 | 208 | ნიუიორკი-ჩივასი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 6 ივნისი | | | | | | |
| 02:00 | 224 | არსენალი-ხიმნასიალპ | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 23:10 | 218 | რასინგი-ურაკანი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 04:15 | 219 | ნიუელზი-ხიმნასიაჟ | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 01:20 | 215 | სანმარტინი-როსარიო | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:20 | 216 | ესტუდიანტესი-კოლონი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:20 | 217 | რივერპლეიტი-ოლიმპო | 1.37 | 3.90 | 7.50 | 1.01 | 1.15 | 2.56 |
| 04:10 | 220 | სანლორენსო-ბანფილდი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 01:20 | 221 | ტიგრე-არგინტინოსხუნიორსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 21:10 | 223 | ველესი-ინდეპენდიენტე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 01:40 | 222 | ლანუსი-ბოკახუნიორსი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 4 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 236 | ესტონეთი-ფარერები | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 21:00 | 237 | რუსეთი-ლიტვან | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 20:00 | 259 | კანადა-პანამა | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 00:00 | 238 | ესპანეთი-აშშ | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 07:00 | 239 | მექსიკა-არგენტინან | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 03:00 | 260 | ჩილე-გვატემალა | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 05:15 | 261 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 1 | შვეიცარია-ჩეხეთი | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| 22:45 | 2 | პორტუგალია-თურქეთი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 3 | ავსტრია-ხორვატია | 4.30 | 3.30 | 1.85 | 1.86 | 1.29 | 1.18 |
| 22:45 | 4 | გერმანია-პოლონეთი | 1.57 | 3.50 | 6.50 | 1.08 | 1.26 | 2.27 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 5 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.60 | 3.30 | 1.80 | 1.92 | 1.29 | 1.16 |
| 22:45 | 6 | ჰოლანდია-იტალია | 3.00 | 3.20 | 2.40 | 1.54 | 1.33 | 1.37 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 7 | ესპანეთი-რუსეთი | 1.73 | 3.30 | 5.20 | 1.13 | 1.29 | 2.01 |
| 22:45 | 8 | საბერძნეთი-შვედეთი | 2.85 | 3.10 | 2.50 | 1.48 | 1.33 | 1.38 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 9 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.15 | 3.20 | 2.30 | 1.58 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 10 | შვეიცარია-თურქეთი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 11 | ხორვატია-გერმანია | 3.50 | 3.20 | 2.10 | 1.67 | 1.31 | 1.26 |
| 22:45 | 12 | ავსტრია-პოლონეთი | 3.10 | 3.20 | 2.30 | 1.57 | 1.32 | 1.33 |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 13 | იტალია-რუმინეთი | 1.75 | 3.30 | 5.00 | 1.14 | 1.29 | 1.98 |
| 22:45 | 14 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 2.90 | 3.10 | 2.45 | 1.49 | 1.32 | 1.36 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 15 | შვედეთი-ესპანეთი | 4.80 | 3.30 | 1.80 | 1.95 | 1.30 | 1.16 |
| 22:45 | 16 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.40 | 3.10 | 2.90 | 1.35 | 1.31 | 1.49 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 17 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.20 | 3.10 | 2.30 | 1.57 | 1.33 | 1.32 |
| 22:45 | 18 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.10 | 3.20 | 2.25 | 1.57 | 1.30 | 1.32 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 19 | პოლონეთი-ხორვატია | 3.30 | 3.20 | 2.20 | 1.62 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 20 | ავსტრია-გერმანია | 8.00 | 3.70 | 1.45 | 2.52 | 1.22 | 1.04 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 21 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.90 | 3.20 | 4.25 | 1.19 | 1.31 | 1.82 |
| 22:45 | 22 | საფრანგეთი-იტალია | 2.90 | 3.00 | 2.55 | 1.47 | 1.35 | 1.37 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 23 | რუსეთი-შვედეთი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 22:45 | 24 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.20 | 3.20 | 1.90 | 1.81 | 1.30 | 1.19 |
| | | ჩეხეთი. IIდივიზიონი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 252 | დუკლა-ბოჰემიანსი | 1.50 | 4.00 | 4.60 | 1.09 | 1.13 | 2.13 |
| 19:00 | 253 | იპლავა-ოპავა | 3.55 | 3.20 | 1.85 | 1.68 | 1.21 | 1.17 |
| 19:00 | 254 | ჰრადეცკრალოვე-ტრინეცი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| 19:00 | 255 | ჰლუჩინი-ფულნეკი | 1.70 | 3.50 | 3.70 | 1.14 | 1.16 | 1.79 |
| 19:00 | 256 | ვიტკოვიცე-სოკოლოვი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 257 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 2.00 | 3.50 | 2.85 | 1.27 | 1.17 | 1.57 |
| 19:00 | 258 | ოლომოუცი-კრჩიპრადა | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| | | ბრაზილია. თასი | | | | | | |
| | | 5 ივნისი | | | | | | |
| 04:50 | 248 | კორინთიანსი-სპორტრისაიფი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 5ივნისი | | | | | | |
| 04:45 | 249 | ფლუმინენსე-ბოკახუნიორსი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10171 | რუსენბორგი-ბრანი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10187 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10259 | კანადა-პანამა | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10155 | ნესტვედი-ფრედერისია | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 4.35 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10160 | კიოგე-ფრემი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10161 | ვეილე-ლოლანდი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10162 | სკივე-სანდერილანდი | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10172 | ვოლერენგა-ჰამკამი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10190 | ჰეკენი-იორგრიტე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10002 | პორტუგალია-თურქეთი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10003 | ავსტრია-ხორვატია | 4.70 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10004 | გერმანია-პოლონეთი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10006 | ჰოლანდია-იტალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10007 | ესპანეთი-რუსეთი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10010 | შვეიცარია-თურქეთი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10011 | ხორვატია-გერმანია | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10012 | ავსტრია-პოლონეთი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10013 | იტალია-რუმინეთი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10015 | შვედეთი-ესპანეთი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10016 | საბერძნეთი-რუსეთი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10017 | შვეიცარია-პორტუგალია | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10018 | თურქეთი-ჩეხეთი | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10019 | პოლონეთი-ხორვატია | 4.10 | 2.00 | 2.30 | 1.34 | 1.47 | 1.06 |
| 10020 | ავსტრია-გერმანია | 7.00 | 2.50 | 1.55 | 1.84 | 1.26 | 1.00 |
| 10021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10022 | საფრანგეთი-იტალია | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10023 | რუსეთი-შვედეთი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11171 | რუსენბორგი-ბრანი | 5.60 | 10.00 | 3.80 | 2.80 | 20.00 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 |
| 11186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 10.00 | 5.60 | 2.90 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 10.00 | 20.00 | 6.50 |
| 11187 | ფალკენბერგი-მიალბი | 5.30 | 4.40 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 10.00 | 3.50 | 20.00 | 10.00 |
| 11188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 4.40 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 3.30 | 5.60 | 4.40 | 10.00 | 20.00 |
| 11189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 5.00 | 4.60 | 3.40 | 20.00 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 4.40 |
| 11259 | კანადა-პანამა | 5.00 | 5.60 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 | 4.40 | 20.00 | 10.00 |
| 11155 | ნესტვედი-ფრედერისია | 10.00 | 20.00 | 2.90 | 6.50 | 4.40 | 3.80 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 20.00 | 10.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 | 3.00 |
| 11157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 3.80 | 20.00 | 2.80 | 10.00 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11160 | კიოგე-ფრემი | 10.00 | 6.50 | 2.80 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 5.60 | 10.00 | 20.00 |
| 11161 | ვეილე-ლოლანდი | 1.65 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 5.00 | 3.50 | 15.00 | 11.00 | 30.00 |
| 11162 | სკივე-სანდერილანდი | 10.00 | 3.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 6.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 |
| 11172 | ვოლერენგა-ჰამკამი | 10.00 | 9.00 | 10.00 | 4.50 | 20.00 | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 |
| 11190 | ჰეკენი-იორგრიტე | 5.60 | 3.80 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 10.00 | 4.40 | 2.80 | 20.00 |
| 11191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 | 10.00 | 5.30 |
| 11192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 9.00 | 20.00 | 4.60 | 2.20 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 3.50 | 8.00 |
| 11193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 10.00 | 20.00 | 6.50 | 3.60 | 20.00 | 4.40 | 2.60 | 7.50 | 10.00 |
| 11001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 4.00 | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 |
| 11002 | პორტუგალია-თურქეთი | 3.60 | 6.00 | 10.00 | 20.00 | 7.00 | 4.40 | 20.00 | 2.70 | 10.00 |
| 11003 | ავსტრია-ხორვატია | 20.00 | 7.00 | 7.50 | 10.00 | 10.00 | 4.40 | 2.50 | 3.50 | 20.00 |
| 11004 | გერმანია-პოლონეთი | 4.60 | 20.00 | 3.50 | 7.00 | 10.00 | 7.50 | 10.00 | 2.30 | 20.00 |
| 11005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 20.00 | 10.00 | 7.00 | 2.50 | 10.00 | 4.40 | 20.00 | 3.50 | 7.50 |
| 11006 | ჰოლანდია-იტალია | 4.40 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 | 10.00 |
| 11007 | ესპანეთი-რუსეთი | 20.00 | 4.60 | 2.30 | 7.00 | 3.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11008 | საბერძნეთი-შვედეთი | 3.60 | 20.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 4.80 | 10.00 | 10.00 | 4.00 |
| 11009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 10.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 |
| 11010 | შვეიცარია-თურქეთი | 4.00 | 20.00 | 10.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 | 3.00 |
| 11011 | ხორვატია-გერმანია | 20.00 | 10.00 | 10.00 | 4.60 | 4.40 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 3.50 |
| 11012 | ავსტრია-პოლონეთი | 20.00 | 5.00 | 4.40 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 4.40 | 4.60 | 3.50 |
| 11013 | იტალია-რუმინეთი | 20.00 | 10.00 | 7.00 | 4.40 | 3.60 | 10.00 | 2.70 | 6.00 | 20.00 |
| 11014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 4.80 | 10.00 | 4.00 | 10.00 | 20.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 3.60 |
| 11015 | შვედეთი-ესპანეთი | 10.00 | 20.00 | 3.50 | 2.50 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 7.50 | 10.00 |
| 11016 | საბერძნეთი-რუსეთი | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.60 | 4.40 | 4.00 | 10.00 | 20.00 | 3.60 |
| 11017 | შვეიცარია-პორტუგალია | 20.00 | 4.80 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 3.30 | 10.00 | 4.40 | 5.60 |
| 11018 | თურქეთი-ჩეხეთი | 10.00 | 3.30 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 4.80 | 10.00 | 20.00 |
| 11019 | პოლონეთი-ხორვატია | 20.00 | 20.00 | 6.00 | 5.30 | 4.00 | 10.00 | 10.00 | 3.00 | 4.40 |
| 11020 | ავსტრია-გერმანია | 10.00 | 1.90 | 10.00 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 3.50 | 9.00 | 20.00 |
| 11021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 20.00 | 6.00 | 5.30 | 10.00 | 20.00 | 3.00 | 10.00 | 4.40 | 4.00 |
| 11022 | საფრანგეთი-იტალია | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 4.00 | 4.80 | 4.40 | 10.00 | 20.00 |
| 11023 | რუსეთი-შვედეთი | 3.60 | 4.00 | 20.00 | 4.40 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 10.00 |
| 11024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 20.00 | 2.60 | 6.50 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12171 | რუსენბორგი-ბრანი | 2.10 | 1.50 |
| 12186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 1.80 | 1.80 |
| 12187 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.00 | 1.60 |
| 12188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 1.90 | 1.70 |
| 12189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 1.80 | 1.80 |
| 12155 | ნესტვედი-ფრედერისია | 2.00 | 1.60 |
| 12156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 2.10 | 1.50 |
| 12157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 2.40 | 1.45 |
| 12158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 2.10 | 1.50 |
| 12159 | ორჰუსიფრ-აკადემისკი | 2.00 | 1.60 |
| 12160 | კიოგე-ფრემი | 2.10 | 1.50 |
| 12161 | ვეილე-ლოლანდი | 2.20 | 1.50 |
| 12162 | სკივე-სანდერილანდი | 2.00 | 1.60 |
| 12172 | კოლერენგა-ჰამკამი | 2.00 | 1.60 |
| 12190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.90 | 1.70 |
| 12191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.90 | 1.70 |
| 12192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 2.00 | 1.60 |
| 12193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.60 | 2.00 |
| 12002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.60 | 2.10 |
| 12003 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 12004 | გერმანია-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 12005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.10 |
| 12006 | ჰოლანდია-იტალია | 1.55 | 2.30 |
| 12007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.55 | 2.30 |
| 12009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 12010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ხორვატია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნკ. | კი. |
|---|---|---|---|
| 13171 | რუსენბორგი-ბრანი | 1.50 | 2.10 |
| 13186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 1.70 | 1.90 |
| 13187 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.60 | 2.00 |
| 13188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 1.60 | 2.00 |
| 13189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13155 | ნესტვედი-ფრედერისია | 1.50 | 2.10 |
| 13156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 1.50 | 2.10 |
| 13157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.40 | 2.20 |
| 13158 | სილკებორგი-ჰელერუპი | 1.50 | 2.10 |
| 13159 | ორჰუსიფრ-აკადემისკი | 1.50 | 2.10 |
| 13160 | კიოგე-ფრემი | 1.40 | 2.20 |
| 13161 | ვეილე-ლოლანდი | 1.70 | 1.90 |
| 13162 | სკივე-სანდერილანდი | 1.50 | 2.10 |
| 13172 | ვოლერენგა-ჰამკამი | 1.70 | 1.90 |
| 13190 | ჰეკენი-იორგრიტე | 1.60 | 2.00 |
| 13191 | ვესბი-ანგელჰოლმი | 1.60 | 2.00 |
| 13192 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.70 | 1.90 |
| 13193 | ასირისკა-ატვიდაბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 13002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ავსტრია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13004 | გერმანია-პოლონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ჰოლანდია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ხორვატია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ავსტრია-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ფაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14171 | რუსენბორგი-ბრანი | 1.70 | 2.20 |
| 14186 | ბრომაპოიკარნა-სირიუსი | 1.70 | 2.20 |
| 14187 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.80 | 2.00 |
| 14188 | ქვიდინგი-ბუნკეფლო | 1.80 | 2.00 |
| 14189 | ენჩიოპინგი-იონკოპინგი | 1.80 | 2.00 |
| 14155 | ნესტვედი-ფრედერისია | 1.70 | 2.20 |
| 14156 | იოლსტიკე-ჰერფიოლგე | 2.30 | 1.65 |
| 14157 | ჰვიდოვრე-კოლდინგი | 1.65 | 2.30 |
| 14160 | კიოგე-ფრემი | 1.70 | 2.20 |
| 14161 | ვეილე-ლოლანდი | 1.08 | 2.90 |
| 14162 | სკივე-სანდერილანდი | 2.30 | 1.65 |
| 14172 | ვოლერენგა-ჰამკამი | 1.30 | 2.50 |
| 14001 | შვეიცარია-ჩეხეთი | 1.90 | 1.90 |
| 14002 | პორტუგალია-თურქეთი | 1.65 | 2.30 |
| 14003 | ავსტრია-ხორვატია | 2.30 | 1.65 |
| 14004 | გერმანია-პოლონეთი | 1.45 | 2.40 |
| 14005 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.30 | 1.65 |
| 14006 | ჰოლანდია-იტალია | 2.00 | 1.80 |
| 14007 | ესპანეთი-რუსეთი | 1.45 | 2.40 |
| 14008 | საბერძნეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | ჩეხეთი-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14010 | შვეიცარია-თურქეთი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | ხორვატია-გერმანია | 2.00 | 1.80 |
| 14012 | ავსტრია-პოლონეთი | 2.00 | 1.80 |
| 14013 | იტალია-რუმინეთი | 1.65 | 2.30 |
| 14014 | ჰოლანდია-საფრანგეთი | 1.95 | 1.85 |
| 14015 | შვედეთი-ესპანეთი | 2.30 | 1.65 |
| 14016 | საბერძნეთი-რუსეთი | 1.85 | 1.95 |
| 14017 | შვეიცარია-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14018 | თურქეთი-ჩეხეთი | 2.10 | 1.75 |
| 14019 | პოლონეთი-ხორვატია | 2.20 | 1.70 |
| 14020 | ავსტრია-გერმანია | 2.60 | 1.20 |
| 14021 | ჰოლანდია-რუმინეთი | 1.70 | 2.20 |
| 14022 | საფრანგეთი-იტალია | 1.95 | 1.85 |
| 14023 | რუსეთი-შვედეთი | 1.90 | 1.90 |
| 14024 | საბერძნეთი-ესპანეთი | 2.20 | 1.70 |

# წარმატებული კაცის ფიქრები

## გიორგი ცინცაძე ამერიკასა და ევროპას შორის



ეს სეზონი ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე დატვირთული და ამავდროულად წარმატებული გიორგი ცინცაძისთვის იყო. ამაში მხოლოდ მისი კლუბის მიღწევებს როდი ვგულისხმობთ. გარდა იმისა, რომ გიო იმ გუნდის ლიდერი იყო, რომელიც ევროთასის ოთხთა ფინალში გავიდა, ესტონეთის ჩემპიონატი ერთი ამოსუნთქვით მოიგო და ბალტიის ლიგის პლეი ოფში ითამაშა, ცინცაძემ პირადი ჯილდოებითაც დაიმშვენა მკერდი. მან ითამაშა ორ ოლ სტარში — ბალტიის ლიგისა და ევროთასისაში, ხოლო ამ უკანასკნელი ტურნირის საუკეთესო ევროპელი და გამთამაშებელი გახდა. ცინცაძემ გასრულებულ სეზონში 67 მატჩი ითამაშა და თუ არ ჩავთვლით ორ ოლ სტარს, სადაც დრო ყველა მონაწილეზე თანაბრად იქნა გადანაწილებული, მას არც ერთ შეხვედრაში მოედანზე 30 წუთზე ნაკლები არ გაუტარებია. ერთი სიტყვით, ცინცაძემ ესტონურ „როკში“ უდიდესი გამოცდილება მიიღო, რასაც ყველაზე მეტად საჭიროებდა და როგორც ჩანს, მისი პროგრესი სწორედ იმ გზას დაადგა, ქართველ გულშემატკივარს რომ სურდა და ელოდა. გიორგი ახლა თბილისშია და ნბა-ს კემპისთვის ემზადება, რომელიც 6 ივნისიდან იტალიურ ტრევიზოში გაიმართება. მას გუშინ თსუ-ს დარბაზში შევხვდით და განვლილ სეზონთან ერთად მომავალ გეგმებზეც ვესაუბრეთ...

**— ალბათ საკამათო არაა, რომ გასული სეზონით კმაყოფილი ხარ, მაგრამ მაინც გკითხავ...**

— უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. მართლა კარგი სეზონი გამოვიდა. ევროთასის ოთხთა ფინალში გავედით, ესტონეთის ჩემპიონები გავხდით და ბალტიის ლიგაზეც პლეი ოფამდე მივაღწიეთ. მოთამაშეები ჰო, მაგრამ მე მაინც მწვრთნელის ფაქტორს გამოვარჩევდი, რომელმაც გუნდს ხელი აშკარად დაატყო. ნოემბრიდან მოყოლებული, 3-4 თვე არც ერთი თამაში არ წაგვიგია, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი გუნდის საბოლოო წარმატებები.

**— გუნდური მიღწევები კარგია, თუმც ქართველ გულშემატკივარს შენი კარგი თამაში უფრო უხარია...**

— საკუთარი თამაშითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. „როკის“ ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და საშუალოდ 35 წუთზე მეტ ხანს ვატარებდი მოედანზე. ეს იყო დიდი ნდობა, რომელიც მწვრთნელმა გამომიცხადა. მხოლოდ დროის ხანგრძლივობაც არაა გადამწყვეტი. ხომ გრძნობ, რა ადგილი გიკავია გუნდში, რისი უფლება გაქვს და რისი — არა. მე სრულიად თავისუფალი ვიყავი, მწვრთნელი ყველაფრის უფლებას მაძლევდა. როცა მინდოდა, ვესროდი, კომბინაციებსაც მე ვარჩევდი და, ერთი სიტყვით, ლიდერის ფუნქცია მეკისრა.

**— რით დაიმსახურე ასეთი დიდი ნდობა?**

— წინა სეზონიც ხომ „როკში“ ვიყავი და მართალია, ამდენ ხანს არ ვთამაშობდი, მაგრამ გამოცდილება საკმარისად მივიღე. მწვრთნელმაც ჩემზე გააკეთა აქცენტი და მეც ალბათ გავამართლე.

**— „როკში“ გადასვლამდე რუსული სუპერლიგის გუნდებში თამაშობდი, მაგრამ ძირითადად სათადარიგო იყავი. იქ რომ ეთამაშებინეთ, ასეთივე წარმატებებს მიაღწევდი?**

— არა, აქ მხოლოდ სათამაშო დროში არაა საქმე. ხომ ვხედავდი, „ურალ გრეიტში“, ან „სამარაში“ როგორ იყვნენ ჩემდამი განწყობილნი. ესტონურ გუნდში ლიდერი ვიყავი და ეს პასუხისმგებლობა დამატებითი სტიმული იყო ჩემთვის.

**— შენი გუნდი სამ ტურნირში მონაწილეობდა და რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— გუნდის ხელმძღვანელობა აქცენტს ევროთასზე აკეთებდა, რადგან „როკს“ აქამდე საერთაშორისო ასპარეზზე არანაირი წარმატებისთვის არ მიუღწევია. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ ესტონური კლუბების ისტორიაში უმაღლეს შედეგამდე მივედით — ევროთასის ოთხთა ფინალში გავედით. დასანანი მატჩი წავაგეთ ნახევარფინალში ლატვიურ „ბაროსთან“, რომელსაც პირველ ტაიმში 19 ქულას ვუგებდით. მატჩის ბოლოს ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ ამ გუნდს, 10-ჯერ რომ შევხვედროდით ათჯერვე მოვუგებდით. უბრალოდ, იმ მომენტში დაგვემართა რაღაც. აი, დაახლოებით ისე, როგორც საქართველოს ნაკრებმა ისლანდიაში წააგო.

**— ესტონეთის ჩემპიონები ძალიან იოლად გახდით, არადა, „კალევი“ არ ჩანდა ეგრე იოლად დასაჩაგრი გუნდი...**

— მეტოქე კი ძლიერი იყო, მაგრამ ჩვენ უფრო შეთამაშებულნი ვიყავით. ფინალური სერიის ოთხივე მოგებულ მატჩში სხვადასხვა მოთამაშემ ულიდერა „როკს“. მე მესამე მატჩში გამოვიჩინე თავი, სხვებში სხვებმა და ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ გუნდურ კალათბურთს ვთამაშობთ. ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ჩემი თანაგუნდელი იანალ ტალტსი გახდა, რომელიც დიდი შედეგიანობით სულაც არ გამოირჩეოდა.

**— სეზონი დამთავრდა და ახლა რა გეგმები გაქვს? როგორც ვიცი, ორლანდოში, წინასადრაფტო კემპზე იყავი მიწვეული...**

— ამერიკაში ვერ წავედი, რადგან ვიზა დროულად ვერ გავაკეთე. თუმც იყო გადაღლილობის მომენტიც. ძალიან დაქანცული ვიყავი. კემპი 27 მაისს იწყებოდა, ესტონეთის ჩემპიონატი კი 2 დღით ადრე დამთავრდა. ამ სეზონის განმავლობაში 67 მატჩი ვითამაშე. თანაც უმეტესად თითქმის შეუცვლელად, 35-38 წუთი ვიყავი მოედანზე. ახლა ტრევიზოს კემპისთვის ვემზადები, რომელიც 6 ივნისს იწყება და იქ სამი ქართველი მივდივართ — მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი შერმადინი და მე.

**— ანუ შესაბამისად დრაფტისთვისაც ემზადები, ტრევიზოში ხომ ნბა-ში გადასვლის ყველაზე რეალური კანდიდატები ჩადიან-ხოლმე...**

— არ ვიცი, რა იქნება. თუკი რომელიმე გუნდის წარმომადგენლებმა კონკრეტული წინადადება არ მომცეს, რომ დრაფტზე ამირჩევენ, ამერიკაში წასვლის აზრს ვერ ვხედავ. მე ჩემსას ვეცდები ტრევიზოს კემპზე და თუ გამოჩნდება ვინმე ჩემი მსურველი, ხომ კარგი, არადა, ევროპაში ვითამაშებ.

**— ევროპაში სად?**

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ წარმატებული სეზონის შემდეგ რომ არაერთი კარგი ვარიანტი მექნება, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— ბოლოს საქართველოს ნაკრებზე გკითხავ, სადაც მეორე ნომერზე თამაშობ, არადა, ევროთასის საუკეთესო გამთამაშებლად გაღიარეს...**

— ვფიქრობ, ნაკრებშიც გამთამაშებელი უნდა ვიყო. მე და ლაშა გამყრელიძეს შეგვწევს ძალა, რომ ეს პოზიცია გავამაგროთ. მწვრთნელი აქამდე ტაისონ ელისს ათამაშებდა გამთამაშებლად, მაგრამ ახლა ახალი თავკაცია და ის ალბათ თავისებურად გადაწყვეტს. ყველაფერი შეკრების დროს გადაწყდება და რაც არ უნდა დამავალოს მწვრთნელმა, ჩემთვის მისაღები იქნება.

**ირაკლი პერტაია**




## სერია მეორე. 1962
## სელტიქსი 4:3 ლეიკერსი

# როცა ბოსტონს ტახტი მხოლოდ შეურყიეს

**1962 წლის** აპრილი იდგა, ამერიკა ნბა-ს ფინალისთვის ემზადებოდა. გოლიათ უილტ ჩემბერლენს უკვე გამოევლო 100-ქულიანი თამაში, 50-ქულიანი სეზონი, მაგრამ ბილ რასელის „ბოსტონთან“ კიდევ ერთხელ დამარცხებულიყვნენ ის და მისი „ფილადელფია“.

დასავლეთში კი დამთავრებულიყო ბობ პეტიტის „სენტ ლუისის“ ერა და იქიდან ახალი ძალა, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მოიწევდა უძლეველი „ბოსტონ სელტიქსის“ კიდევ ერთხელ გამოსაცდელად.



ელჯინ ბეილორი

„ლეიკერსს“ აშკარად მოუხდა პროვინციული მინეაპოლისიდან ლოს ანჯელესში გადაბარგება. იქვე გახლდათ ჰოლივუდი, ახალ გუნდს 15-ათასიანი სუპერდარბაზიც დაახვედრეს. იქაურ ბომონდსაც ახალი გასართობი გაუჩნდა. ყველა ცნობადი მსახიობი, ქალი თუ კაცი, საღამოს კაბებსა და ძვირფას სმოკინგებში გამოწყობილი ჩამწკრივდებოდა მოედნის პირას და ტაშით ხელისგულებს იხეთქავდა.

„ლეიკერსის“ ცქერა კი მართლაც ერთ რამედ ღირდა. გუნდის ლიდერი, შავკანიანი ფორვარდი ელჯინ ბეილორი საუკეთესო ფორმაში იყო და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ უილტ ჩემბერლენს ჩამორჩა, მაგრამ მას ჯარში უხმეს და ერთხანს მხოლოდ უქმეებზე ჩამოდიოდა ლოს ანჯელესში სათამაშოდ. სამაგიეროდ, ის მარტო აღარ იყო, მეორეწლიანი თეთრი უკანახაზელი ჯერი ვესტი საკმარისად მოძლიერდა და ლიდერის ტვირთის ზიდვაც შეეძლო. „ლეიკერსმაც“ პლეი ოფის ორი რაუნდიც დამაჯერებლად გაიარა და ფინალში ბრძოლისთვის მზად მყოფი წარუდგა „ბოსტონ სელტიქსს“.

როგორ არ ჰგავდა ეს ფინალი სამი წლის წინანდელს. ეს უკვე აღარ იყო ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა. ორივე ერთმანეთის ღირსი გახლდათ. „ბოსტონმა“ შინ მოგებით გახსნა ფინალი, მაგრამ „ლეიკერსმა“ მეორე საღამოსვე იძია შური, შემდეგ კი ლოს ანჯელესში ნბა-სთვის სარეკორდოდ ბევრი 15 180 მაყურებელი დაახვედრა. დარბაზი ლამის გადაირია, როცა მესამე თამაშის დასრულებამდე სამი წამით ადრე ჯერი ვესტმა ბოსტონელებს ბურთი მოჰპარა, მთელი მოედანი გადასერა და 115:115 ანგარიშზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო. მეოთხე თამაში, უკვე „ბოსტონმა“ მოიგო. მეორედ გათანაბრდა ანგარიში.

მაგრამ „ლეიკერსმა“ კიდევ ერთხელ შეძლო სასწორის თავისკენ გადახრა. მეხუთე თამაშში ბეილორმა 61 ქულა გააკეთა, რაც დღემდე რჩება ფინალების ურყევ რეკორდად, მისი გუნდი კი 3:2 დაწინაურდა. ჯერი ვესტი მას დღესაც ისეთი გზნებით აქებს, თითქოს მოგებული თამაშის შემდეგ ეს-ესაა გასახდელში შევიდნენო — „მას შეტევის ჯადოქრული ინსტიქტი ჰქონდა, ისეთ რამეებს აკეთებდა, რომ უნდა დამდგარიყავი და გეყურებინა. ბევრს საუბრობენ, რომ თანამედროვე ეპოქა ალსავსეა კარგი ფორვარდებით. მე ბევრს ვერავის ვხედავ, ვინც მას თანაბრად შეეტოქებოდა.“

მაგრამ „ბოსტონ სელტიქსმა“ კიდევ ერთხელ გაათანაბრა და სერია მეშვიდე, გადამწყვეტ ჯახამდე მივიდა, რომელიც 16 აპრილს ბოსტონში გაიმართა. თამაში კი არა, სიგიჟე იყოო, ყვებიან ისტორიკოსები. ბეილორთან დუელში ზედიზედ გაცვივდნენ ბოსტონელები — სანდერსი, ლოსკუტოფი და ბოლოს ტომ ჰეინსონიც კი. წაიწევდნენ წინ მასპინძლები, დაეწეოდნენ სტუმრები. ნამდვილი ნერვების თამაში იყო. ბოლოს „ბოსტონი“ დროის ამოწურვამდე წუთით ადრე 100:96 დაწინაურდა, მაგრამ ლოსანჯელესელმა ფრენკ სელვიმ რაღაც სასწაულით ორი ბურთი ჩაუგდო ბილ რასელს და 100:100 გაათანაბრა. 18 წამი რჩებოდა და „კელტებმა“ შეტევა ჩაafლავეს. 5 წამით ადრე წუთშესვენება! მწვრთნელის მითითება ასეთია: „გადამწყვეტს ესვრის ბეილორი, ის თუ დაკეტილია, მაშინ ვესტი, თუ ვერც ის გაიხსნა, მაშინ ნებისმიერი სხვა...“

ეს „ნებისმიერი“ ისევ სელვი გამოდგა, რომელმაც ბურთი კალათიდან ორ მეტრში მიიღო და ბობ კოუზისთან ჭიდაობაში ესროლა. ბურთი რკალს დაეცა და ბილ რასელის ხელებში აღმოჩნდა. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა და იქ რასელის წყალობით „ბოსტონმა“ 110:107 მოიგო, თავად რასელმა კი თამაში 30 ქულით და 40 მოხსნით დაასრულა.

შემდეგ სელვი ოხვრით იტყვის, რაც კი ცხოვრებაში ბურთები ჩამიყრია, ყველას იმ ერთზე გავცვლიდიო. „ლეიკერსმა“ მხოლოდ შეარყია ტახტი, მეფე კი ვერ ჩამოაგდო. „ბოსტონ სელტიქსი“ ზედიზედ მეოთხედ გახდა ჩემპიონი.

**ირაკლი ფირაშვილი**

## სტენლის თასი. ფინალი

# სამი ოვერტაიმი და სიკორას ოვერგოლი

**მეხუთე მატჩი**

**დეტროიტი 3:4 პიტსბურგი**

0:2 1:0 2:1 0:0 0:0 0:1 (მესამე ოვერტაიმში)

*სერია დეტროიტს მიჰყავს 3:2*

0:1 ჰოსა (9, კროსბი, დიუპუი), 0:2 ჰოლი (15, უასისტენტოდ), 1:2 ჰელმი (23, მოლტბი), 2:2 დაციუკი (47, უმრ. ზეტერბერგი, რაფალსკი), 3:2 რაფალსკი (50, ფრანცენი, ზეტერბერგი), 3:3 ტელბოტი (60, ჰოსა, კროსბი), 3:4 სიკორა (110, უმრ. მალკინი, გონჩარი)



პეტრ სიკორამ (მარცხნივ) აულებელი გაისროლა და „პიტსბურგმა“ მეექვსე თამაშის უფლება მიიღო

„პიტსბურგი“ იოლად დანებებას არ აპირებს. ახალგაზრდა „პინგვინებმა“ შეძლეს საკუთარ თავში დამატებითი ძალების გამონახვა და სერია, მინიმუმ ერთი მატჩით გაახანგრძლივეს, რითაც „დეტროიტს“ დაგეგმილი ზეიმი ჩაუშალეს (დროებით მაინც).

გუშინდელი მატჩი უდავოდ ფინალური სერიის და ალბათ მთლიანად წლევანდელი პლეი ოფის მშვენება გახლდათ, რადგანაც ასეთი ჯახი არც ერთი წინა შეხვედრაში არ ყოფილა. ამ წყვილისგან სწორედ ასეთ სწრაფ და ლამაზ ჰოკეის ელოდნენ, რომელიც გულშემატკივრებს ტელეეკრანებს მიაბამდა. თუმც წინა მატჩებში ერთი გუნდი სოლირებდა და სერია აქამდე რომ არ მორჩა, „პიტსბურგის“ იღბლის ბრალი უფროა. სამართლიანობის გულისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ „წითელფრთიანები“ გუშინაც მატჩის უდიდესი ნაწილის განმავლობაში უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ... ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ახალგაზრდა „პინგვინებმა“ ეპიკურ, უდაჩაბულეს მატჩში, რომელმაც სამი ოვერტაიმი მოითხოვა (ფინალების ისტორიაში მეოთხე ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა) მაინც წაგლიჯეს მიჩიგანელებს კიდევ ერთი გამარჯვება და ახლა საკუთარ ყინულზე ბრუნდებიან, რათა ანგარიშის გათანაბრება სცადონ.

ეტყობა, არაფერი გამოუვიდა ნიკლას ლიდსტრომს, რომელიც თანაგუნდელებს ამ მატჩის წინ აფრთხილებდა, მოშვება არ შეიძლება, ჯერ თასი არ მოგვიგია და ამიტომ თავიდანვე სრული კონცენტრაციით უნდა გავიდეთ ყინულზეო. პირველი პერიოდი „დეტროიტმა“ აშკარად ჩააგდო, რადგანაც გუნდი ზედმეტი თვითდაჯერებით თამაშობდა და იმდენი შეცდომა დაუშვა, რამდენიც ალბათ მთლიანად პლეი ოფის ყველა დანარჩენ შეხვედრაში არ დაუშვია. სწორედ ამიტომ, ანტარქტიდის ბინადრებმა ორი შაიბით დასაჯეს მასპინძლები — ჯერ მარიან ჰოსამ შეაგდო, შემდეგ კი მიჩიგანელებმა სულაც საჩუქარი უძღვნეს მეტოქეს, როცა ნიკლას კრონვალმა საკუთარი კარი „დალაშქრა“. „პინგვინებს“ მეტიც უნდა გაეტანათ და საქმე აქვე მოეთავებინათ, რადგანაც მასპინძლები ისევ სცოდავდნენ და მომხვდურებს ბლომად შანსები უბოძეს (მარტო სიდნი კროსბი ორჯერ იყო მეკარესთან ერთ-ერთზე გასული).

თუმც მეორე პერიოდიდან მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, რადგანაც „წითელრთიანებმა“ თანდათანობით ტემპს უმატეს და მალე მარკ-ანდრე ფლერის კართან ჯოჯოხეთი მოაწყვეს. აქ სწორედ ამ ახალგაზრდა ბიჭის დრო დადგა, რომელმაც თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა და რამდენიმე ფანტასტიური დარტყმული მოიგერია.

ფლერის ბრწყინავლე თამაშის მიუხედავად „დეტროიტმა“ მაინც გაიტანა თავისი და ჯერ ახალბედა დარენ ჰელმმა, მესამე პერიოდში კი პაველ დაციუკმა და ბრაიან რაფალსკიმ სამჯერ დაბომბეს სტუმრების კარი და „წითელფრთიანებიც“ ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდნენ სანუკვარ ჯილდოს.

აქ ბევრმა საქმე გადაწყვეტილად ჩათვალა, რადგანაც აქამდე „პიტსბურგი“ ვერ ახერხებდა დაწინაურებული მეტოქის დაწევას. ახლაც იგივე ხდებოდა, რადგანაც „დეტროიტი“ უფრო ხშირად უტევდა და თავის დაცვის მაგივრად იქით ქმნიდა მომენტებს. თუმც „პინგვინებს“ მაგრად გაუმართლათ, როცა მაქს ტალბოტმა ისარგებლა რიკოშეტით, რომელმაც მასპინძელთა დაცვა თამაშგარე დატოვა და კრის ოზგუდს თამაშის დამთავრებამდე 35 წამით ადრე გაუტანა.

ამის შემდეგ კი ოვერტამების დროც დადგა, რომელშიც ისევ მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ ხან თავად სცოდავდნენ, ხანაც ფლერი იდგა კედელივით. ყველაფერი მესამე დამატებითი პერიოდის შუაწელზე გადაწყდა, როცა წინა შეხვედრის გმირმა ირჟი ჰუდლერმა 4 წუთიანი ჯარიმა „აიკიდა“ — „პიტსბურგმაც“ ისარგებლა ამ შანსით, როცა პეტრ სიკორამ აულებლად გაისროლა და სერია პიტსბურგში დააბრუნა.

„ყველას ვაჩვენეთ, რომ ბოლომდე ბრძოლა შეგვიძლია. ახლა სახლში უნდა ვიყოჩაღოთ და დეტროიტში მეშვიდე მატჩის გასამართად დავბრუნდეთ“ — განაცხადა ნამატჩევს სიკორამ, რომელიც ისე იყო დაღლილი, რომ ძლივს ლუღლუღებდა.

„დეტროიტი“ კი ეცდება საქმე სტუმრადვე მოათავოს. გუნდმა წლევანდელ პლეი ოფში ყველა სერია გასვლაზე დახურა და მაიკ ბებკოკიც იმედოვნებს, რომ ახლაც იგივე განმეორდება — ოღონდ საამისოდ საჭიროა მიჩიგანელებმა მომენტების რეალიზაცია დაიწყონ, თორემ გუშინდელივით თუ ანიავეს შანსები, კარგი არაფერი ელით.

**ქახა ლომაშვილი**

„სარბიელი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ლეგენდარული ქართველი კალათბურთელი
ნოდარ ჯორჯიკია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, საბჭოთა კავშირის ხუთგზის გამარჯვებულის, ევროპის ჩემპიონის, სახელოვანი კალათბურთელის
ნოდარ ჯორჯიკიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის
ნოდარ ჯორჯიკიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის,
ილია მირიანაშვილის მეუღლის
გარდაცვალების გამო
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს





ჭაბუკა მახარაძე

# ერთი მედალი ერევნიდან

**ამ** დღეებში ერევანში, კარატე-დოში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. სომხეთში საქართველოს ნაკრები მხოლოდ სამი კარატისტით წარსდგა. უფროსებში საჩხუბრად სამეზობლოში ჭაბუკა მახარაძე და ლევან გელდიაშვილი წავიდნენ. 12 წლის გიორგი გეფერიძე კი, ცხადია, უმცროსებში გამოვიდა.

თავშივე ვთქვათ, რომ ჩვენები ორივე დისციპლინაში კატაში (ილეთების შესრულება) და კუმიტეში (კონტაქტური კარატე) გამოვიდნენ, თუმც მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვეს. კუმიტეში ფინალში გავიდა და იქ ირანელ კარატისტთან დამარცხდა ჭაბუკა მახარაძე, რომელიც ერევნიდან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ტიტულით დაბრუნდა.

ერევნის მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი თბილისში, აღმოსავლეთ ევროპის თასი ჩატარდა, სადაც ჭაბუკა მახარაძის შეგირდებმა იყოჩაღეს 8 და 12-წლამდელებში. ილია კუდინოვმა, ნიკა მექერიშვილმა, გიორგი ნადაშვილმა, ბაჩო აბესაძემ და შოთა ლაკიამ მოიგეს სხვადასხვა სინჯის მედლები.

**ბაჩო სვანიძე**



# ცხრა ახალი ბორჯღალი

**იქით** უქმეებზე რუმინეთში მსოფლიოს ერთა თასი იმართება და საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ის 26-კაცა რაზმი დაასახელა, რომლის მხრებზეც გადაივლის სამმატჩა შეჯიბრი.

აქვე ვთქვათ, რომ მსოფლიოს ერთა თასი მეორედ იმართება და მეორე დონის გუნდებისთვის მეტი ტესტის სათამაშოდ არის მოწყობილი. ბუქარესტში ჩვენების მეტოქეები იქნებიან სამხრეთ აფრიკის მეორე ნაკრები, რომელსაც სარაგბო ენაზე „მზარდი ქურციკები“ ჰქვიათ, ურუგვაის ეროვნული ნაკრები და იტალიის „ა“ ნაკრები, რომელიც სანახევროდ წინა მსოფლიოს თასზე ნათამაშები მორაგბეებით შეივსო.

ტიმ ლეინს ბუქარესტში ექსპერიმენტული შემადგენლობა მიჰყავს. გუნდში ცხრა ახალბედაა: ყოჩების მორკინალები — კარლენ ასიეშვილი და ჯაბა ბრეგვაძე, უნივერსიტეტელები — ლაშა ბაირამაშვილი, ტარიელ დონაძე; ლოკომოტიველები — ბაჩუკი გუჯარაიძე, ბექა წიკლაური, ქუთაისის „აიას“ უკანახაზელი — თორნიკე ძაგნიძე, და ლელოელები, ვიტო კოლელიშვილი და ლაშა ხმალაძე.

ბუქარესტში ტიმ ლეინს ამჯერად ასისტენტობას 20-წლამდელთა მწვრთნელები, ნიკო ჭავჭავაძე და ლევან მაისაშვილი გაუწევენ. ჯერ ერთი, ეს მზარდი მწვრთნელები გამოცდილებას მიიღებენ, ამასთან ერთად ნაკრების ბირთვს სწორედ 20-წლამდელები შეადგენენ, რომელმაც წლეულს ჩილეს მსოფლიოს თასზე ირაგბეს.

**ბაჩო სვანიძე**



**ტიმ ლეინი და მისი ნაკრები**

| | |
|---|---|
| კარლენ ასეიშვილი | ყოჩები |
| ლაშა ბაიარამაშვილი | უნივერსიტეტი |
| ოთარ ბარკალაია | ანდორა (საფ) |
| ჯაბა ბრეგვაძე | ყოჩები |
| დავით გასვიანი | ბობინი (საფ) |
| რევაზ გიგაური | ბეზიე (საფ) |
| ირაკლი გუნდიშვილი | პერიგო (საფ) |
| ბაჩუკი გუჯარაიძე | ლოკომოტივი |
| ტარიელ დონაძე | უნივერსიტეტი |
| სანდრო თოდუა | ლელო |
| გიორგი კაჭარავა | ყოჩები |
| ვიქტორ კოლელიშვილი | ლელო |
| სიმონ მაისურაძე | კლერმონი (საფ) |
| ლაშა მალაღურაძე | ოდესა (უკრ) |
| შოთა მელიქიძე | კაორი (საფ) |
| ირაკლი ნატრიაშვილი | ფარული (რუმ) |
| გიორგი ნემსაძე | დომონი (საფ) |
| ბიძინა სამხარაძე | ფარული (რუმ) |
| ბესო უდესიანი | შალონი (საფ) |
| კახაბერ უჩავა | ფარული (რუმ) |
| ირაკლი ყიასაშვილი | ლელო |
| გიორგი შკინინი | ზულიგანა |
| ირაკლი ჩხიკვაძე | აია ქუთაისი |
| თორნიკე ძაგნიძე | ლოკომოტივი |
| ლაშა ხმალაძე | ლელო |

**უფროსობა**

| | |
|---|---|
| ტიმ ლეინი | მთ. მწვრთნელი |
| ნიკო ჭავჭავაძე | მწვრთნელი |
| ლევან მაისაშვილი | მწვრთნელი |
| ვასილ აბაშიძე | მენეჯერი |
| პავლე კასრაძე | ექიმი |
| ბესო აბრამიშვილი | ფიზიო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

# სერბები და იუბილარი ნადალი



რაფაელ ნადალი 22 წლის გამხდარა

ყოველ შეხვედრაში უმატებს და თანდათან, სულ უფრო მძლავრ, დახვეწილ და კარგად გამართულ ჩოგბურთს თამაშობს, რაც მას ჩემპიონობის ალბათ უმთავრეს პრეტენდენტად აქცევს.

„საკუთარი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. მთავარია, ამ დონეზე კიდევ ორი მატჩის ჩატარება შევძლო და ოცნებაც ამიხდება" — განაცხადა ივანოვიჩმა ნამატჩევს.

ახლა ანას თანამემამულის, ელენა იანკოვიჩის წაქცევა მოუწევს, რომელიც თავის მხრივ ასევე ტიტულისკენ იცქირება და არაფრის დათმობას არ აპირებს. გუშინ იანკოვიჩმა დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა ტურნირის მთავარ აღმოჩენა 19 წლის კარლა სუარეს ნავაროს და დამაჯერებლად იმარჯვა.

ივანოვიჩი და იანკოვიჩი კორტს მიღმა კარგი მეგობრებიც კი არიან და ხშირად ერთმანეთს სპარინ-პარტნიორობასაც უწევენ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ხუთშაბათს ორივე ყველანაირ გრძნობას გვერდზე გადადებს და ყველაფერს გაიღებს ფინალში გასასვლელად.

მესამე სერბი კი, რომელმაც გუშინ თავი გამოიჩინა, თავსითავად ნოვაკ ჯოკოვიჩია. მას ცოტა კი გაუჭირდა ახალგაზრდა ერნესტ გულბისის წინააღმდეგობის დაძლევა და ამას სამი საათიც შეალია, მაგრამ მაინც სამ სეტში იმარჯვა. ჯოკოვიჩი მხოლოდ მეოთხე მეჩოგნეა როჯერ ფედერერის, ივან ლენდლისა და ბორის ბეკერის შემდეგ, რომელიც ზედიზედ მეხუთე სლემტურნირს ნახევარფინალში გავიდა.

აქ სერბს მთავარი გამოცდა ელის რაფაელ ნადალის სახით, რომელიც ბოლო მატჩებია კი არ თამაშობს, არამედ დაფრინავს და მეტოქეებს უსასტიკეს დღეში აგდებს. გუშინ ნიკოლას ალმაგროს ჯერი იყო, რომელსაც რაფამ ყოველ სეტში თითო გეიმი „დიდსულოვნად" დაუთმო. მალიორკელს არ გაემტყუნება — გუშინ 22 წელი შეუსრულდა და უნდოდა დაბადების დღეზე კორტზე რაც შეიძლება ნაკლები დრო გაეტარებინა.

### კაცები
### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (19, ესპანეთი) 6:1 6:1 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 7:5 7:6 7:5

### ქალები
### მეოთხე წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (16, ბელარუსი) 6:2 6:3; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:3 3:6 6:1

### მეოთხედფინალი

**ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — პატი შნიდერი (10, შვეიცარია) 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — კარლა სუარეს ნავარო (ესპანეთი) 6:3 6:2

**გუშინდელი** დღის მიმოხილვა ორშაბათიდან გადმოტანილი მეოთხე წრის შემორჩენილი ორი თამაშით უნდა დავიწყოთ, რომლებშიც ქალთა ბოლო მეოთხეფინალური წყვილის ვინაობა გაირკვა. ეს იღბლიანები ორი 22 წლის მეჩოგნე, სვეტლანა კუზნეცოვა და კაია კანეპი აღმოჩნდნენ, რომელნიც ერთმანეთს დღეს დაუპირისპირდებიან.

გუშინ კი კუზნეცოვამ ვიქტორია აზარენკას გადაურბინა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მშვენიერ ფორმაშია. რუსს პარიზში ჯერ სეტი არ წაუგია და ისეთი ტემპით მიდის, რომ არც უნდა აპირებდეს. ისე, მთლად უშანსოდ არც აზარენკა იყო, მაგრამ მარტო პირველ სეტში 7 ბრეიკ-პოინტი გაანიავა და ყველაფერი თავის თავს დააბრალოს.

კანეპი კი პირველი ესტონელი ჩოგბურთელია, რომელმაც სლემტურნირის მეოთხედფინალს უწია. თუმც ბალტიისპირელი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და რუსს ომს ჰპირდება. აკი აცხადებს კიდეც, ტელეფონი გამორთული მაქვს, არავის მილოცვის გაგონება არ მინდა — კუზნეცოვასთან შეხვედრისთვის მომზადებაში ხელს შემიშლისო.

ამის შემდეგ უკვე მეოთხედფინალების ჯერი დადგა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ დღემ სერბული ნიშნით ჩაიარა. ზედიზედ მეორე წელია „როლან გაროსის" ნახევარფინალებში ამ პატარა ქვეყნის სამმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი, რაც სერბთათვის კიდევ ერთი უდიდესი მიღწევაა.

ქალებით დავიწყოთ, სადაც ყველაზე ადრე ანა ივანოვიჩმა იყოჩაღა და ნახევარფინალის საგზური გამოცდილი პატი შნიდერის მიჩოგვნით გაინაღდა. სერბი ლამაზმანი

**კახა ლომაშვილი**

# ქართველები უკრაინიდან დაიფრინეს

**უკრაინული** ჩერკასკის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრა საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე ოთხი ქართველიდან ერთმაც ვერ შეძლო — სერგო სიხარულიძისა და ნოდარ ითონიშვილის ბედი გიორგი ხრიკაძემ და ლაზარე კუხალაშვილმაც გაიზიარეს. კუხალაშვილი საკვალიფიკაციო შეჯიბრის მეორე წრეში 6:7 3:6 დამარცხდა რუს მაქსიმ კანაკოვთან, ხოლო ხრიკაძემ 6:3 6:2 კი მოუგო მოლდოველ ილიე ბაბინჩუკს, მაგრამ მესამე წრეში 4:6 7:6 4:6 წააგო სოლომონის კუნძულების წარმომადგენელ მეხაელ ლეონგთან.

პირველივე შეხვედრაში დაასრულა თურქეთის ქალაქ იზმირის მაგარსაფარზე მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში თამაში სოფო ქვაცაბაიამ. სოფო მე-6 ნომრად იყო განთესილი და 15 წლის ბრიტანელთან, რეიტინგის 912-ე საფეხურზე მყოფ ტარა მურთან შეხვედრაში, პირველი სეტის 6:7 წაგების შემდეგ, მეორეში 1:1-ზე ტრავმის გამო შეწყვიტა თამაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამხრეთკაროლინური ჰილტონ ჰილის ჰარდზე მე-6 ნომრად არის განთესილი სალომე დევიძე. 10-ათასიანი ტურნირის პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი 18 წლის ავსტრალიელს, კლასიფიკაციის 659-ე პოზიციაზე მყოფ ემელინ სტარს დაუპირისპირდება.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ალექსანდრე მეტრეველის უპასუხო კითხვები

**გუშინ** თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტის" ოფისში გამოჩენილ ქართველ ჩოგბურთელ ალექსანდრე მეტრეველთან შეხვედრა შედგა. თქმაც არ უნდა, მაგრამ მაინც. უიმბლდონის ფინალში გასული ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი, ახლა უკვე ვეტერანია და მოსკოვში ცხოვრობს. მოსკოვში ალექსანდრე მეტრეველს ნტვ-ზე საჩოგბურთო რეპორტაჟები მიჰყავს და ამ არხის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. სამი წლის წინ კი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა სცადა, მაგრამ ლეილა მესხს ვერ აჯობა.

ახლა ალექსანდრე მეტრეველი პირადი საქმეების გამო გვესტუმრა და ჟურნალისტებს თავისი გულისტკივილიც გაგვანდო...

— დაახლოებით წლინახევრის წინ საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის უფროსს გიორგი არველაძეს ორჯერ მივწერე წერილი, რომ თბილისში საჩოგბურთო აკადემიის გახსნაში დამხმარებოდა. დახმარებაზე ინფრასტრუქტურის საკითხის მოგვარებას ვგულისხმობდი. ნაჩუქარი არაფერი მინდოდა, უბრალოდ, ვთხოვდი, გაერკვიათ ვის რა ეკუთვნოდა, რომ უფლებამოსილ პირებს ან ორგანიზაციას დავლაპარაკებოდი. თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ „დინამოს" საჩოგბურთო კორტების მოვლა-პატრონობა დავიწყე. მაშინ ამ კორტების 40 პროცენტს ვფლობდი, 60 პროცენტი კი საზოგადოება „დინამოსი" იყო. რამდენჯერმე მოვიდნენ ჩემთან და ოთხი კორტის დათმობა მომთხოვეს, სახლები უნდა ავაშენოთო. სანაცვლოდ კი დარჩენილ ადგილის რემონტს მთავაზობდნენ. ასეთი საქციელი ჩემთვის მიუღებელი იყო და საერთოდ შევეშვი ამ საქმეს. რაც შეეხება ჩემს წერილს, სამწუხაროდ, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, როგორც ვიცი, მთავრობაში უმეტესობას დასავლური განათლება აქვს და წესით, უნდა იცოდნენ, რომ ოფიციალურ წერილზე პასუხი აუცილებლად უნდა გასცენ. არ აქვს მნიშვნელობა, დადებითი იქნება თუ უარყოფითი.

**— საქართველოში აკადემიის გახსნაზე საბოლოოდ თქვით უარი?**

— არა, მაგრამ ახლა ეს უკვე ძალიან რთული იქნება, რადგან იმ ფინანსებით მერე ტოლიატში გავხსენი საჩოგბურთო აკადემია, სადაც უკრაინიდან და ბელარუსიდან ჩამოდიან ბავშვები. ამასთან ერთად ყაზახეთშიც დავიწყე აკადემიის მშენებლობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა პირობებზე იქნება თანახმა საქართველოს მთავრობა. ამის გარეშე არაფერი გამოვა. ჯერჯერობით კი, როგორც გითხარით, ჩემს ინიციატივას არავინ გამოეხმაურა.

**— თქვენი აზრით, რა არის ქართული ჩოგბურთის ჩავარდნის ძირითადი მიზეზი?**

— სახელმწიფოსგან უყურადღებობა. მე არ ვიცი, რას აკეთებს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია, მაგრამ ვიცი, რომ სახელმწიფო პროგრამების გარეშე არაფერი გამოვა. ქართულ ჩოგბურთში ახლა კატასტროფული ვითარებაა, 16 წელზე ზევით ჩოგბურთელები თითქმის აღარ არიან, იმიტომ რომ ან საშუალება აღარ აქვთ, ან ყურადღებას რომ ვერ გრძნობენ, თამაშს თავს ანებებენ. დიდებში საქართველოს ჩემპიონატსაც ვერ ჩაატარებ, რადგან მოთამაშეთა საჭირო რაოდენობას ვერ მოუყრი თავს. როდესაც წლების მანძილზე საქართველოს პირველი ჩოგანი 26 წლის მაკა ჩახნაშვილია, ეს უკვე დამაფიქრებელი ფაქტია. მაკას არაფერს ვერჩი, მაგრამ ამ გოგონამ ვერც ერთ გამოსარჩევ ტურნირზე ვერ გააღწია საკვალიფიკაციო ეტაპიდან. სხვა კი არავინ ჩანს.

**— ანა ტატიშვილზე რას იტყვით?**

— სანამ ანა უშუალოდ კრის ევერტის მეთვალყურეობით და პატრონაჟით თამაშობდა, მაშინ ასე თუ ისე აღწევდა წარმატებას. ბოლო სამი წელია კი, არსად გამოჩენილა, უბრალოდ, ეს გოგო გადაიწვა, რაც მისი გარემოცვის არაპროფესიონალიზმის ბრალია. ერთხელ ამერიკაში, ტურნირზე ანას მწვრთნელად მამა ახლდა. მას კი საამისო ცოდნა და გამოცდილება არ აქვს. ანას საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციიდან არ დაეხმარნენ და საუკეთესო წლებიც დაკარგა.

**ბაჩო სვანიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge